წელიწადი მეორე

ფასი 7 კაპ.

პარასკევი, 16 ქრისტეშობისთვე 1916 წ. № 281

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებრივი სტრიქონი [illegible] რდზე პეტიტით [illegible] კნელზე—10 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 5 მ.; 20×2 ღირს 7 მ., 25×2 ღირს 8 მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ღირ. მეტი. დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

მიიღება ხელის მოწერა

ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

1917 წ.
წელიწადი მესამე

„საქართველო“

1917 წ.
წელიწადი მესამე

ყოველკვირეულ სურათებიან დამატებით

გაზეთი არის ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებისა. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურს ცხოვრებას: ვაჭრობა-მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის წარმატებას, საპროფესიო და სატეხნიკო ცოდნათა გავრცელებას.

გაზეთს საკუთარი კორესპოდენტები ჰყავს საქართველოს მნიშვნელოვან დაბა-ქალაქებსა და სოფლებში და აგრეთვე პეტროგრადსა და მოსკოვში.

გაზეთში უახლოეს თანამშრომლობას ეწევიან:

ავ. აბესაძე,
ი. აბულაძე,
დ. არონიშიძე,
ა. ახათიანი,
ალ. ახმეტელი,
ვ. ბარნოვი,
ეკ. გაბაშვილისა,
რ. გაბაშვილი,
განდეგილი,
გ. გვაზავა,
ს. გორგაძე,
გ. გორდეზიანი,
ვ. გუნია,
შალვა დადიანი,
ზ. ედილი,
ი. ვართაგავა,
გრ. ვეშაპელი,
ეკ. თაყაიშვილი,
ინ ბანი,
პ. ინგოროყვა,
ჩ. კაპანაძე,
პოლ. კარბელაშვილი,
დ. გ. კარიჭაშვილი,
დ. კასრაძე,
დ. კახელი,
ს. კედია,
ნ. კურდღელაშვილი,
Legatus,
იას. ლორთქიფანიძე,
ნ. ლორთქიფანიძე,
ტ. მარგველაშვილი,
კ. მაყაშვილი,
ი. მაჭავარიანი,
მელანია,
შ. მღვიმელი,
ნიკო ნიკოლაძე,
გ. ჟორდანია,
გრ. რობაქიძე,
თედო სახოკია,
ტ. ტაბიძე,
ი. ფერაძე,
შ. ქარუმიძე,
ს. ქვარიანი,
გ. ქიქოძე,
ნ. ყიფიანისა,
სვ. ყიფიანი.
გ. ყიფშიძე,
ვ. შალიკაშვილი,
პროფ. ა. ცაგარელი,
აპ. წულაძე,
დ. ჭიაბრიშვილი,
ზ. ჭიჭინაძე,
მ. ჯანაშვილი,
ლ. ჯაფარიძე,
სამხედრო მიმ. ბ-ნი X.

გაზეთის. ფასი: მთელის წლით—15 მან., ნახევარის წლით 9 მან., სამის თვით 5 მან., ერთის თვით ქალაქში 1 მ. 80 კ.

ქალაქ გარეთიდან გაზეთის გაწერა ერთის თვით ფოსტის საშუალებით არ მიიღება.

არა წლიურ ხელის მომწერთათვის გაზეთი თვის პირველ რიცხვიდან იქნება ნაანგარიშევი. წლიურ ხელის მომწერთათვის ფასის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება შემდეგის წესით:

ხელის მოწერის დროს 7 მან., პირველ მარტისათვის 5 მან. და პირველ ივნისისათვის 3 მან.

ვისაც სურს გაზეთის გაწერა წლიურად, ეს უნდა მოიხსენიოს პირველსავე ხელის მოწერის დროს. ◆ რედაქციის მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. ◆ კანტორა ღიაა: დილით 9—3 ს.-დე. საღ. 5—7-დე.

რედაქტორი: სანდრო შანშიაშვილი. გამომცემელი: ამხანაგობა „საქართველო“.

მიიღება ხელის მოწერა

---

13 ქრისტეშობისთვეს, 1916 წ., ქ. თბილისში გარდაიცვალა ხაშურის (მიხაილოვის) სავაჟო გიმნაზიის მეოთხე კლასის მოწაფე

ამბერკი (ვალოდია) ათანასეს ძე
ხოშტარია

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ამხანაგებს და ნაცნობთ გულმოკლულნი მშობლები ათანასე და ვასასი ხოშტარიები, დები: ოლღა ათანასეს ასული და მეუღლე მისი იოსებ ჩიტაია, ელენე ათანასეს ასული და მეუღლე მისი გრიგოლ მამინაშვილი, ბიძები: გიორგი და ამბაკო ხოშტარიები ოჯახობით.

გამოსვენება მიცვალებულისა გიორგი ხოშტარიას ბინიდან, ელისაბედის ქუჩა, № 155, პარასკევს, 16 ქრისტეშობისთვეს, დილის ცხრა საათზე, დიდუბის ეკკლესიაში, ხოლო დაკრძალვა წმ. ნინოს (კუკიის) სასაფლაოზე, ნაშუადღევის სამს საათზე. პანაშვიდი დღეს, საღამოს შვიდ საათზე, გიორგი ხოშტარიას ბინაზედვე.

(2—434—2)

განუსაზღვრელის მწუხარებით გულ-დაჩაგრულნი დედ-მამა თ-დი ლენტორ დავითის ძე და მარიამ ივანეს ასული ლორთქიფანიძენი ნათესავებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობ-მეგობრებს, რომ გარდაცვლილ და იმავე ოსმალეთის ფრონტზე ავადგამხდარ, ალექსანდროპოლის ლაზარეთში ქალაქში 6 ნოემბერს დაკრძალულ

ვლადიმერ ლენტორის ძის
ლორთქიფანიძის

სულის მოსახსენებლად საორმოცო წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება კვირას, 18 დეკემბერს, ქვაშვეთის წმიდა გიორგის ეკლესიაში.

(2—434—1)

ხარფუხის საზოგადო კლუბი

ამით აცხადებს, წევრთა და კანდიდატთა საყურადღებოდ, რომ უკანასკნელ ვადად ხაწევრო ფულის გადახდისა 1917 წ. ითვლება 20 დეკემბერი 1916 წ.

(2—304—1)

დეკემბრის ბოლო რიცხვებში თბილისში გამოვა

სამხატვრო-სალიტერატურო კრებული

საფირონი

კრებულში მონაწილეობას იღებენ:

ალ. ახმეტელი,
ბაბილინა,
განდეგილი,
შალვა დადიანი,
მოსე თოიძე,
თ. იანელი,
ინ-ბანი,
დ. კასრაძე,
გ. ლეონიძე,
კ. მაყაშვილი,
შიო მღვიმელი,
გ. მუმლაძე,
ნარკანი,
აკაკი პაპავა,
ტრ. რამიშვილი,
ს. ფაშალიშვილი,
ლეო ქიაჩელი,
გერონტი ქიქოძე,
სანდრო შანშიაშვილი,
ვალ. შალიკაშვილი,
ლელი ჯაფარიძე,
მ. ჭიაურელი,
და სხვ.

მისამართი: თბილისი. ნიკოლოოზის ქ. № 7. სანდრო შანშიაშვილს.

პროვინციის აგენტებმა წინდაწინვე უნდა გვაცნობონ, თუ რამდენ ეგზემპლიარს გაიწერენ.

რედაქტორ-გამომცემელი გ. ლეონიძე.

მიიღება ხელის მოწერა 1917 წლის

იუმორისტულ ჟურნალ

„ეშმაკის მათრახ“-ზე

ფასი მთელი წლით: 7 მან. ნახევარი წლით 4 მ. სამი თვით 2 მან. თვეში 70 კ. ვისაც უნდა ჟურნალი 1 იანვრიდან მიიღოს, ფული ეხლავე უნდა გამოგზავნოს შემდეგის მისამართით: თბილისი, ფოსტის ყუთი № 96, სილ. თავართქილაძეს.

(უ.)

თბილისის ქალაქის გამგეობა

ამით აუწყებს ქ. თბილისის მცხოვრებთ, რომ, თანახმად თბ. ქალაქის გამგეობის ამა წლის ნოემბრის 28 დადგენილებისა, თბილისის გუბერნატორის მიერ ქრისტეშობისთვის 12-ს დამტკიცებულისა, ქრისტეშობისთვის 18-დან შემოღებულ იქმნება შემდეგი ახალი სასტანციო

შაურიანი საპასაჟირო ტარიფი.

ერევნის მოედნიდან — ზემელის აფთიაქამდე.
ზემელის აფთიაქიდან — ვოკზლამდე (მუშტაიდზე ანუ პიროგოვის ქუჩაზე გავლით).
„ „ — ოლგის ქუჩის ბოლომდე.
„ „ — წყნეთის „ „
ერევნის მოედნიდან — ვორონცოვის ძეგლამდე.
ვორონცოვის ძეგლიდან— ვოკზლამდე (მიხეილის პროსპექტზე ან ჩერქეზიშვილის ქუჩაზე გავლით).
ერევნის მოედნიდან — ამალლების ხაზის ბოლომდე.
„ „ — კახეთის მოედნამდე.
კახეთის მოედნიდან — სამხედრო გოსპიტლამდე.
სამხედრო გოსპიტლიდან—ძველ საყასბომდე.
ვოკზლიდან — ნიკოლოზის მოედნამდე.
ნიკოლოზის მოედნიდან— კახეთის მოედნამდე.
ვორონცოვის ძეგლიდან— რიყემდე.
რიყიდან — საგუბერნიო ციხემდე.
ამიერ-კავკ. რკ. გზის სამ.—დიდუბის ეკლესიამდე.
ზემელის აფთიაქიდან — კირკის (კიროჩნი) ქუჩის და მიხეილის პროსპექტის კუთხემდე აგრეთვე შაური.

დამატებითს ვაგონებზე:

ავჭალის აუდიტორიიდან—ლოტკის გორამდე 3 კაპ.

საბონიმენტო წიგნაკები მანეთ და ათ შაურიანები ოცდა ათ გზისა ერთის თვის ვადით სადგურებზე იყიდება.

გადასაჯდომი ბილეთები უქმდება; წლიური ბილეთები იყიდება ტრამვაის კანტორაში 120 მანეთად. ამასთან, ყველა წლიური ბილეთები მიცემული იქნება 1918 წლის იამვრამდე, ისეთის ანგარიშით, რომ ყოველ ნაკლებ თთვისათვის გამოაკლდება თითო თუმანი.

(2—302—1)

განცხადება

გამოვიდა და იყიდება მშვენიერი

ქართული კედლის
კალენდარი

კ. ოცხელის წიგნის მაღაზიის გამოცემა ქუთაისში.

◆ ფასი ოთხი აბაზი ◆

(5—294—3)

სახალხო სახლი

ოთხშაბათს, 19 ქრისტეშობისთვეს, ქართულ დრამატ. საზოგ. დასის მიერ ვ. გამყრელიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

ჰერჰარტ ჰაუპტმანის პიესა

დაძირული ზარი

დრ. ზღაპარი 5 მოქ. თარგმ. ი. მაჭავარიანისა.

უმთავრეს როლებს შეასრულებენ: ტ. აბაშიძე—„რაუტენდლეინ“, ვ. გამყრელიძე—„წყლის ბერი“, გ. იმხნელი—„ჰენრიხ“, ი. ზარდალიშვილი—„პასტორი“, ნ. გვარაძე—„ქაჯი“, ნ. დავითაშვილი—„მაგდა“, ნ. ჯავახიშვილი—„ვიტისა“. პიესაში მონაწილეობენ „ალნი“ და „ქონდრის კაცები“.

ადგილების ფასი 170 კ.—20 კ.-დე. ◆ ◆ დასაწყისი საღ. 8 საათზე.

ადმინისტრაცია ქართ. დრამატ. საზოგადოებისა.

(3—303—1)

სომეხ მწერალთა საზოგადოება

დღეს, 16 დეკემბერს, სამუსიკო საზოგადოების დარბაზში (კრილოვის ქუჩა) გაიმართება მორიგი საღამო:

ილია ნაკაშიძე

წაიკითხავს რუსულ ენაზე ლექციას:

„ხალხოსნობა ქართულ მწერლობაში“

სომეხ მწერალთა საზოგადოება იწვევს პატივცემულ ქართველ მწერლებსა და პრესის წარმომადგენელთ დაესწრნენ ლექციას. იმათთვის დატოვებული იქნება უფასო ადგილები პირველ რიგში.

შესვლის ფასი 1 მანეთიდან 20 კაპეიკამდე.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

შემდეგ კარები დაიხურება და არავის შემოუშვებენ.

(1—435—1)

ექიმი

ფონ-ირტელი

(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).

მოსკოვის ხაზინო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის 9½-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.

ერლიხის „914“ და „606“

შეშხაპუნება

ექიმი

მ. გ. გეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმშა

გ. მ. მუხაძემ

მოსკოვში წასვლის გამო ავადმყოფების მიღება შესწყვიტა 28 ქრისტეშობისთვემდის.

ექიმი

მ. ი. ვაჩნაძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

ექიმი

პ. ი. გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15—00.

შავი ქვის საქმე

ვ. ვ. პროტოპოპოვისაგან პეტროგრადში დაფუძნებულ „ფინანსიური გაზეთის“ 372 ნუმერში, სახელმწიფო საბჭოს წევრის თავ. ანდრია ერისთავის წერილია დაბეჭდილი გერმანელთა შავ-ქვიან მამულების ლიკვიდაციის შესახებ.

თ. ანდრია ერისთავი საყურადღებო ამბებს გვამცნობს: მეფისნაცვლისგან დაწესებულ სალიკვიდაციო კომისიას ამ ქრისტეშობისთვის 15-სათვის დაუნიშნავს სხვა და სხვა მაძიებელ-კონკურენტთა მოწვევა, რათა მათ ორის კვირის განმავლობაში წარმოადგინონ თავიანთი პირობები; საბოლოო დასტურს ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი დასცემ; გასაყიდ მამულის პირვანდელი ფასი 5 მილიონამდის ადის; დაახლოვებით ამავე ფასში მიჰყიდეს ფიქტიურად გერმანელმა პატრონებმა მამულები ერთ-ერთ შვედურ ფირმას; ნამდვილი ღირებულება ქონებისა კი 20 მილიონს უდრის, ასე რომ ის, ვისაც მთავრობა მამულს დაუთმობს, 15

მილიონის სიმდიდრეს მოიგებს; მინისტრთა საბჭოს დადგენილებით კონკურენტთა შორის პირველობას იმას კი არ მიაკუთვნებენ, მეტს ვინც შეაძლევს, არამედ იმას, ვინც უფრო სასურველია; შავი ქვის მრეწველთა საბჭო ამოიშალა მაძიებელთა სიიდან, რადგან სავაჭრო-სამრეწველო სამინისტრომ კატეგორიულად უარჰყო თხოვნა წესდების სათანადო შეცვლის შესახებ, თუმცა საბჭოს თბილისის სამთამადნო მართველობამ და მეფის ნაცვალმაც მხარი დაუჭირა; საბჭოს თხოვნა 16 გიორგობისთვეს მიუღიათ პეტროგრადში და საქმე ისეთის გასაოცარ სიჩქარით უწარმოებიათ, რომ იმავე თვის 17 უარი დაუდგენიათ!.. მაშ, ვინ იქნება ის ბედნიერი, 15 მილიონის სიმდიდრე, რომ უნდათ აჩუქონ?.. თ. ანდრია ერისთავის აზრით, ეს ის გერმანელი ბანკებია, პურიშკევიჩმა რომ ახსენა სათათბიროში; მათ „ბნელი ძალებიც“ წყალობენ, ე. ი. უბრალოთ რომ ვსთქვათ, ფულით.. დაბოლოს, თავადი ანდრია პათეტიურად იძახის: თუ ეს ქუდბედიანი, 15 მილიონს რომ ღებულობს პრემიად მართლმადიდებელია, ან ლოტრანგის სჯულით იქნებოდა წინად მონათლული ან და ახლაც მოუნათლავი იქნება!..

თვითონ ის „საფინანსო გაზეთი“, რომლის ფურცელზედ სწერს თ. ა. ერისთავი, ძალიან ახლო სდგას გერმანულ კაპიტალით აღჭურვილ ბანკებთან, როგორიცაა, მაგალითად, პეტროგრადის „მეჟდუნაროდნი“ ბანკი... ამიტომ, რა საკვირველია, თუ ვ. ვ. პროტოპოპოვის გაზეთი თავის სარედაქციო შენიშვნაში, ერთის მხრით, ყურადღების ღირსად სცნობს თავად ანდრ. ერისთავის მიერ შავი ქვის მრეწველთა საბჭოს ინტერესთა დაცვას, მეორეს მხრით კი, ნაწყენის კილოთი ამბობს: „გერმანულმა“ ბანკებმა ჩვენსავე გაზეთში უკვე თავი იმართლესო, მოუნათლავთა „ქუპელის“ შიში კი რა მოსატანიაო?...

გერმანულ ბანკებისა რა მოგახსენოთ, და „ნათლვის“ საქმე მართლაც რა შუაშია... ქართველთა საკითხავი ის არის მხოლოდ, ჩვენ დაგვრჩება ჭიათურის 15—20 მილიონიანი სიმდიდრე, თუ იგი უცხოელების ხელში გადასვლით დაგვეკარგება? არსებითად კი ჩვენთვის სულ ერთია, ეს უცხოელი მოუნათლავი იქნება, თუ სამჯერაც მონათლული მართლმადიდებელი!

ჩვენ ჯერ კიდევ შავი ქვის მრეწველთა ყრილობამდის აღვნიშნეთ, ჭიათურის საბჭოს ცალკე ტაქტიკის სიძნელე, განსაკუთრებით ფინანსიურის მხრივ; პეტრეს ქალაქის მაღალ მოხელეთა ანგარიანი ხელის შეშლაც გვქონდა ნახსენები... ამიტომ იურიდიულ და ფინანსიურ პრივილეგიებით აღჭურვილ თავად-აზნაურობასთან შეთანხმებაზედ ვუთითებდით...

რაკი ახლა სავაჭრო-სამრეწველო სამინისტრომ უარი სთქვა შავი ქვის საბჭოს პრივილეგიაზედ, გვმართებს ყოველივე ღონე ვიღონოთ, რათა გავარდნილი ქართული ლუკმა ქართულ ჯამშივე ჩავარდეს... ამერეთ-იმერეთის თავად-აზნაურობა უკვე დაადგა ამ გზას... მას ამ ჟამად სახელმწიფო საბჭოში ორი წარმომადგენელი ჰყავს: თავ. კონსტანტინე აფხაზი და თავ. ანდრია ერისთავი... საქართველოსათვის მათი შეთანხმებული მოქმედებაა საჭირო, თორემ, თხუთმეტ მილიონიან სიმდიდრის მაგიერ, რომ იტყვიან, მართლაც შავი ქვა და ნაცარ-ცხელი შეგვრჩება ხელში.

გრ. ვეშაპელი.

მიწა და კოოპერატივი

ქართველი გლეხი რომ მიწის სივიწროვით შეწუხებულია, —ეს ყველამ კარგად უწყის; მაგრამ მარტო ამის ცოდნით საქმეს არ ეშველება; რუსეთში საწარმოო ძალების განვითარებაზედ გლეხის მიწადმფლობელობის გასაფართოვებლად და გასაუმჯობესებლად სამი დაწყობილი ძალა იღწვის: ჯერ თვით მთავრობა მიწადმოქმედების სამინისტროს სახით წარმოდგენილი, მერე ერობა და კოოპერატივი; ჩვენშიც ზრუნავს სამინისტრო საადგილ მამულო საკითხისათვის, მხოლოდ ქართველთათვის კი არა, გადმოსახლებულ რუსების დაბინავებისათვის.. ერობა ჩვენ ჯერ კიდევ არ გვღირსებია; ჩვენი ახალგაზრდა კოოპერატივები კი ჯერ-ჯერობით მხოლოდ ფულის ნდობა-კრედიტის და საქონლის შოვნა-მოხმარების საქმეს დასტრიალებენ თავს; მთელ საქართველოში მხოლოდ ერთი დაწესებულებაა, მიწის საქმეს რომ აგვარებს—ეს არის ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობის საადგილ-მამულო კომისია; საქართველოს შეძლებული მხვილი საკრედიტო კოოპერატივებიც—განსაკუთრებით მათი კავშირები—რომ გააფართოვებდნენ თავიანთს მოქმედების ასპარეზს და მამულის საქმესაც მიჰხედავდნენ—ეს თვალსაჩინო გავლენას მოახდენს ჩვენი სოფლის წარმატებისათვის; რუსეთის საკრედიტო კოოპერატივთა კავშირები უკვე ჩაერივნენ მიწის საქმეში და მათი გამოცდილება უთუოდ ყურადსაღებია; რუსეთის საკრედიტო კოოპერატივები, რომელთაც მეტი სახსარი მოეპოვებათ და „შუამავლობის ოპერაციის“ უფლებაც აქვთ, თავიანთ წევრთ დახმარებას უწევენ მიწის იჯარით აღებაში; თუ როგორ გააინტენსივეს მათ ასეთი მოქმედება, ამას ჩვენი მეზობელი ყუბანის ოლქის ურთიერთ შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობის მაგალითი გვიჩვენებს; მან რაჟდესტვენსკის სოფლის საზოგადოებიდან 3,000 დესეტინა მიწა მოხსნა იჯარით და შემდეგ კოოპერატივის წევრთა შორის დაანაწილა (სულ 1038 კაცია); საქართველოში, განსაკუთრებით ლიხის მთის აქეთ, კიდევ არის თავისუფალი მიწები; ადგილ-მამულის სივიწროვით შეწუხებულ იმერლებს, რომ რაიმე ორგანიზაცია ეხმარებოდეს, საქართველოს შინა მიგრაცია აქამდისაც მიაღწევდა ეროვნულ ინტერესით დასახულ მიზანს; ვერც კოოპერატივთა საქმეში ჩარევა გადასწყვეტს სრულებით ამ საქმეს, მაგრამ დიდათ კი გაადვილებს. მხედველობაში გვყავს განსაკუთრებით კახეთში მომქმედი კრედიტის კოოპერატივთა კავშირი, რომელსაც მომქმედი ადამიანებიცა ჰყავს, თანხაც აქვს და არც საიჯაროდ გასაცემი მიწის შოვნა გაუძნელდება; მართალია, მიწა მხოლოდ წევრებს დაურიგდება, მაგრამ კოოპერატივებს ყოველთვის ძალუძთ წევრობის უფლებით აღჭურვონ მიწის მაძიებელი გლეხი, საიდანაც უნდა იყოს ჩამოსული ეს გლეხი... კოოპერატივთა მიერ მიწის მოხნა და იჯარით გაცემა დაზოგავს გლეხთა ხარჯს, დასწევს ჩვეულებრივს საიჯარო მაზანდას და ამასთანავე, მიწის მოქმედების წარმატებასაც, აგრიკულტურასაც შეუწყობს ხელს, რადგან იჯარის ერთ-ერთი პირობა იქნება მიწის წესიერი დამუშავება, კარგის და შერჩეულის თესლის და პატივის ხმარება, სხვა და სხვანაირ ნაყოფის მოყვანა და სხვ.; ამ მხრივ საკრედიტო კოოპერატივები გაადვილებენ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათა მოღვაწეობას და მათთან ერთად იმოქმედებენ სამეურნეო კულტურის წარმატებისათვის.

ახალი.

ომის ამბავი

ბრძოლის ველზე

მთავარ შტაბის ოფიციალ დეპეშის გადმოცემით, მთელ რუმინეთის ბრძოლის ასპარეზზე მოპირდაპირე თურმე სასტიკ იერიშებს აწარმოებს. მდინარე რიმნიკის მიდამოებში, ნეგურას ჩრდილოეთით, რუსეთის ცხენოსანთა რაზმი და რუმინელთა ქვეითა ჯარი იძულებულნი გამხდარან სიმაგრეები დაეტოვებინათ და უკან დაეხივნათ. ამავე დროს ქ. რიმნიკ-სერატის სამხრეთით გერმანელთ ხელთ უგდიათ პირველი წყება სანგრებისა. დანარჩენ ადგილებში მოკავშირეთ იერიშები მოუგერებიათ. მოპირდაპირის საერთო იერიშებს უპირველესად ქ. რიმნიკ-სერატის აღება აქვს მიზნად. ამ ქალაქს სამივე მხრიდან უტევენ და, როგორც სჩანს, უახლოვდებიან კიდევაც. როგორც ვხედავთ, რაც დრო გადის ბრძოლა უფრო სასტიკ ხასიათს ღებულობს. რუს-რუმინელთა ჯარი არა თუ მარტო წინააღმდეგობას უწევს, ალაგ-ალაგ კონტრ-იერიშებსაც აწარმოებს. ცხადია, მოკავშირეთა ჯარების სტრატეგიულ მოსაზრებით უკან დახევა დამთავრებულა და ახლა საერთო ბრძოლაზე სურთ რომ ჩაებნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ არ გვესმის ასეთი დაჟინებული წინააღმდეგობა ცენტრში მაშინ, როდესაც მოპირდაპირის მარჯვენა ფრთა მდ. დუნაის მარცხენა ნაპირზე წინ შეიჭრა და ბრაილოვის რკინის გზა გადასჭრა. რაც გინდ იყოს, ეს მოვლენა უბრალო ჯიუტობით არ აიხსნება. ბრძოლის ველის მოხაზულობა იმგვარია, რომ თუ მოპირდაპირემ შესძლო ერთი მხრივ ქ. ბრაილოვისაკენ უფრო ღრმად შეჭრა, მეორეს მხრივ კიდევ რიმნიკ-სერატის აღება და აქედან გალაცისაკენ გალაშქრება რუს-რუმინელთა ჯარების მდგომარეობა მეტად საშიში და სახიფათო შეიქნება. ადვილად შეიძლება მაშინ ამ ჯარმა ვეღარც კი მოასწროს რკინის რკალიდან გამოსხლტომა. აი ყველა ეს მოსაზრება გვიკარნახებს ვიფიქროთ, რომ მოკავშირენი დიდ ბრძოლას არ გაურბიან. უეჭველია, თვით გერმანელნი აძულებულნი გახდებიან გენერალურ ბრძოლისათვის დარაზმონ თავიანთი ჯარები და შესაფერისი მანევრებიც აწარმოონ.

სოლუნის ბრძოლის ასპარეზზე ჩვეულებრივი საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს. არსებითი ცვლილება, ოფიციალ დეპეშის ცნობით, არსად მომხდარა.

X.

ომის დეპეშები

14 ქრისტეშობისთვე.

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.

პეტროგრადი, ოფიციალი ცნობა. დასავლეთის ასპარეზი. მდ. ბერეზინის მიდამოებში, ვიშნევის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მოპირდაპირეთა თხრილი ხელთ ვიგდეთ. მცირე პორსკის მიდამოებში წამოწეული მტერი უკუვაქციეთ. მოპირდაპირე დუბეს და პენიაკის მიდამოებში წინ იწევს. მდ. ბისტრიცის ნაპირებზე ჩვენმა არტილერიამ მოპირდაპირის რაზმი გაჰფანტა. მოლდავეთის საზღვრებზე, ტყიან კარპატებში მდ. უსის ჩრდილოეთით მტერს რამდენიმე ტყვიისმფრქვეველი წავართვით. ამავე მიდამოებში ჩვენმა მსროლელმა რაზმმა 15 სანტიმეტრიანი მორტირი ხელთ იგდო.

კავკასიის ასპარეზი. 12 ქრისტეშობისთვეს, ღამით, პეჟურს-კალესთან, ოსმალთა რაზმი წამოწევას შეეცადა, მაგრამ მედგარი იერიშით თხრილებში შევაბრუნეთ. შარავ-კალეს მიდამოებში, მუშას დასავლეთით ჩვენმა მზვერავებმა რამდენიმე ოსმალო დაატყვევეს. ვანის ტბის მიდამოებში თურქებმა აღმოსავლეთით დაიხიეს.

რუმინეთის ასპარეზი. მთელის დღის განმავლობაში მოპირდაპირე მედგარი იერიშებით სცდილობს გზის გაკაფვას, მდ. რიმნიკის მიდამოში, ნეგურის ჩრდილოეთით რამდენადმე შევავიწროვა ჩვენი ცხენოსანი რაზმი და რუმინელთა ქვეითი ჯარის ნაწილი. რუმინეთის შოსეზე იძულებულნი ვიყავით მოწინავე ხაზი დაგვეტოვებინა. ასპარეზის სხვა და სხვა ნაწილებში მოპირდაპირის იერიშები მოვიგერიეთ. დობრუჯში მცირე მოქმედებაა.

ლონდონი. 13 ქრისტეშობისთვე. 9 ქრისტეშობისთვეს ინგლისელი რაზმები ტიგროსის მარჯვენა ნაპირებს მიუახლოვდნენ და კუთის სამხრეთ-აღმოსავლეთით სანგრები გაამაგრეს. ღამით ჩვენი ცხენოსანი რაზმი ყასაბის ფორტს დაესხა თავს და იავარ-ჰყო, ზემოხსენებული ფორტი ქუთზე 20 მილით არის დაშორებული და დიდი ხანია არაბთა მოქმედების მთავარ ბაზისად ითვლება; განადგურებულია 60 ტონი ხორბალი და დატყვევებულია საქონელი.

საღამოს ოფიციალი. გერმანელთა მცირე რაზმი, 50 კაცისაგან შემდგარი, გუშინ ლებეს არემარეში მოუხლოვდა ჩვენს ბანაკს; დავატყვევეთ 18 კაცი, დანარჩენნი ივლტნენ. გუშინ საღამოთი, არმანტიერის ჩრდილო აღმოსავლეთით ხელთ ვიგდეთ მოპირდაპირეთა თხრილები. დანარჩენ ადგილებში საარტილერიო მოქმედებაა.

12 ქრისტეშობისთვეს ღამით, მოპირდაპირეთა ბანაკში, რამდენიმე ყუმბარა ჩავაგდეთ.

ნიუ-იორკი. ამერიკის ბერლინელმა ელჩმა ჟერარდმა უილსონის ნოტაზე შემდეგი პასუხი გადაგზავნა ნიუ-იორკში. „გერმანეთის მთავრობამაც იმგვარივე მეგობრულის გრძნობით განიხილა და გულისხმა ჰყო შეერთებული შტატების პრეზიდენტის წინადადება მტკიცე ზავის ძირითადი საფუძვლების დამუშავების თაობაზე, რა მეგობრული გრძნობითაც იყო გამსჭვალული თვით პრეზიდენტის ნოტა. პრეზიდენტი ხაზ გასმით იმ მიზნებს იხსენიებს, რომელიც მის გულს განსაკუთრებით ეძვირფასება; ხოლო, რაც შეეხება თვით საშუალებათა არჩევას, ამ მხრივ სრული თავისუფლებაა ნაგულისხმევი. სასურველი შედეგის მისაღწევად გერმანეთის მთავრობას საუკეთესო საშუალებად მიაჩნია აზრთა დაუყოვნებელი გაცვლა-გამოცვლა, რისთვისაც იგი წინადადებას იძლევა, რომ სადმე ნეიტრალ ქვეყანაში მოწვეულ იქნას კონფერენცია მებრძოლ სახელმწიფოთა დელეგატებისაგან, ისე როგორც ეს იყო გამოთქმული 29 გიორგობისთვის განცხადებაში, როდესაც ოთხთა კავშირმა სამშვიდობო მოლაპარაკებისაკენ ხელი გაიწოდა. მომავალი ომების წინასწარი არიდება გერმანეთის მთავრობას მხოლოდ ეხლანდელი ომის გათავების შემდეგ მიაჩნია შესაძლებლად. გერმანეთის მთავრობა გამოსთქვამს თვის მზად-ყოფნას სავსებით დაეხმაროს ამერიკას ამ კეთილშობილ საქმეშიო“.

ზავის გარშემო

ხელმწიფე იმპერატორის ბრძანება ხმელეთის ჯარისა და ფლოტის მიმართ.

„გერმანეთი დიდხანს ფარულად ემზადებოდა ევროპის ყველა ერთა მოსრისა და დამონავებისათვის თავის ფარულ ზრახვათა განსახორციელებლად იგი მოულოდნელად დაგვესხა ამ ორი წლის წინად, სრულს სიწყნარისა და მშვიდობიან შრომის დროს. მოულოდნელად დაესხნენ გერმანელნი რუსეთსა და ჩვენს ერთგულს მოკავშირე საფრანგეთს, რამაც აიძულა ინგლისი შემოგვერთებოდა ამ ბრძოლაში. გერმანეთის მიერ საერთაშორისო უფლებათა აბუჩად აგდებამ, ბელგიის ნეიტრალობის დარღვევამ და დაპყრობილ ქვეყნებში მათმა არა ადამიანურმა მოპყრობამ მალე ამხედრა ევროპის სახელმწიფონი გერმანეთისა და მის მოკავშირეთა წინააღმდეგ. რუსეთი და საფრანგეთი იძულებულნი გახდნენ გერმანეთის განსაცვიფრებელ ტექნიკისათვის დროებით დაეთმოთ თავიანთი ტერიტორიის ნაწილი. მაგრამ დროებით ბრძოლის წაგებამ სრულიადაც არ გასტეხა არც ჩვენი მოკავშირეებისა და არც თქვენი გული, ჩემო სახელოვანო ჯარო-ჯამაათნო! ამასობაში თანდათანობით ვსწორდებოდით წელში და მტერს ტექნიკის უპირატესობას ვაცლიდით ხელიდან. ამიტომ იყო, რომ ჯერ კიდევ წარსულ შემოდგომიდან მტერს ერთი ნაბიჯიც აღარ გადმოუდგამს ჩვენს მიწა-წყალზე. ამის გარდა გაზაფხულზე და ზაფხულში რამდენიმე სასტიკი მარცხი განიცადა და თითქმის ყოველ ფრონტზე იერიშიდან მოგერიებით ბრძოლაზე გადავიდა. მისი ძალა ილევა, მაშინ როდესაც ჩვენი და ჩვენთა სახელოვან მოკავშირეთა შეუჩერებლივ იზრდება. გერმანეთი ჰგრძნობს, რომ მალე დაჰკრავს შურის საძიებელი საათი. და აი, როგორც მყუდრო მუშაობის დროს მოულოდნელად თავს დაგვესხა და ომი გამოგვიცხადა, ახლა ამ სისუსტის წინაგრძნობაზე მოულოდნელად ზავის წინადადებას იძლევა, ვიდრე სავსებით გამოაშკარავდებოდეს მისი სისუსტე. რომ თავის ლაშქარის უძლეველობაში დაარწმუნოს მთელი ქვეყანა, მან მიჰმართა ყალბ ეფექტს, რუმინეთზე იმარჯვებს დროებით, რომელიც ჯერ კიდევ ბრძოლაში გამოუცდელი იყო. მაგრამ თუ გერმანეთს შეეძლო მოულოდნელად თავს დასხმოდა რუსეთსა და საფრანგეთს ჩვენთვის არა ხელსაყრელ დროს, დღეს, როდესაც ბრძოლაში გავიწაფეთ, ძალა მოვიკრიბეთ, როდესაც ჩვენს მხარეზეა უძლიერესი ინგლისი და უკეთილშობილესი იტალია, თავიანთ მხრით უფლებას იტოვებენ, იმ დროს შეუდგნენ ზავზე ლაპარაკს, როდესაც ეს ჩვენთვის ხელსაყრელი იქნება. ჯერ ეს დრო არ დამდგარა. მტერი ჯერ კიდევ არ არის განდევნილი მის მიერ დაპყრობილ ადგილებიდან, არც რუსეთს მიუღწევია საწადელისთვის, სტამბოლი აუღებელია, ზღვის გასავალი გზა ხელთ არა გვაქვს, არც თუ თავისუფალ პოლონეთის სამივე განუყოფელ ოლქების საზღვრებია უზრუნველყოფილი. ეხლა ზავი იმისი ნიშანი იქნებოდა, რომ თქვენ არ გესარგებლოთ აწოდენ გმირული თავგანწირულობით, თქვენ მიერ მოკრებილი ძალღონით, თქვენის ფლოტით. თქვენი შრომა და მით უმეტეს ბრძოლის ველზე რუსეთის დაღუპულ სახელოვან შვილთა ხსოვნა შეუძლებელსა ჰყოფენ ზავის ფიქრად რომ გავატაროთ, ვიდრე სრულს გამარჯვებას არ მივაღწევთ, ვიდრე არ დავცემთ მტერს, რომელიც გაკადნიერდა და ამ საშინელს ბრძოლაში ჩაგვითრია. თუ ომის დაწყება მისგან იყო დამოკიდებული, მას გათავება მის სურვილზე აღარ ჰკიდია. მწამს, რომ წმინდა რუსეთის თვითოეული შვილი ომის დასრულებამდე ზავზე არ იოცნებებს. ამ მხრივ ხმლით გამოსული ჩემს სახელოვან ჯარებში და შინ დარჩენილი ერთგულად მომუშავე ომის დასაგვირგვინებლად ერთნაირად გაიმსჭვალებიან იმ აზრით, რომ ზავი შეიძლება მხოლოდ ჩვენი საზღვრებიდან მტრის განდევნის შემდეგ, როდესაც ჩვენცა და ჩვენს მოკავშირეებს მოგვეცემა საბუთი იმისა, რომ მტერი ველარასოდეს გაკადნიერდება გაიმეოროს ასეთი გამოთარეშება, ამასთანავე რასაც ვაკისრებით, იძულებული გახდება შეურიგდეს ჩვენს მოთხოვნილებას. იმედი ვიქონიოთ სრული გამარჯვებისა, უზენაესმა აკურთხოს ჩვენი დროშანი! დაე, მოჰფინოს მან უმჭკნარი დიდება და მოგვმადლოს ძალი და მშვიდობა თქვენის მეოხებით, ჩემო გმირნო მებრძოლნო, ძალი და მშვიდობა, რისთვისაც მომავალი თაობა გაკურთხებენ და თქვენს უწმიდეს ხსოვნას დაიმარხვენ სამარადისოდ“...

ჟურნალ-გაზეთებიდან

საბერძნეთი

მეფის პოლიტიკა.

მოკავშირეთა მიერ წარდგენილ ულტიმატუმის პირობებში მხოლოდ ერთს ასრულებს საბერძნეთის მთავრობა, სახელდობრ: თესალიიდან ჯარი გაჰყავს პელოპონესში, თუმცა არც ეს არის მტკიცედ გადაწყვეტილი. მართალია, ჯარის გადაყვანა დაიწყო, მაგრამ მეფის ბრძანებით სამი პოლკი ლარისიდან უკვე დაბრუნდა. დემობილიზაციას მეტად მძიმედ ახდენენ. ამავე დროს საბერძნეთის ჯარი დიდად გაძლიერდა. 18 გიორგობისთვეს საბერძნეთის ლაშქარს საიდუმლოდ დიდძალი მაშველი მიემატა. გენერალი დუსმანისი და პოლკოვნიკი მეტაქსა ფაქტიურად ისევ ხელმძღვანელობენ სამხედრო გამგეობას. ლამბროსის მთავრობა კი კვლავ სდუმს 18—19 გიორგობისთვის დამნაშავეთა დასჯაზე, რასაც აუცილებლად მოითხოვენ მოკავშირენი. შეპყრობილ ვენიზელოსელთა შორის იმყოფება გენერალი კორაკსი, რომელსაც მთავრობის მომხრე გაზეთები სამშობლოს ღალატს აბრალებენ. მასვე აბრალებენ მეფის წინააღმდეგ შეთქმულობის თაოსნობას.

ბერძენთა ელჩი ლონდონში.

როგორც ადგილობრივ პოლიტიკურ წრეებში ირწმუნებიან, ყოფილი ბერძენთა ელჩი ლონდონში—გენადიუსი, რომელიც ახლახან თავის ნებით გადადგა, დაუნიშნავთ ლონდონში დროებითი სალონიკის მთავრობის დიპლომატიურ აგენტად. როგორც ვენიზელოსი ატყობინებს ინგლის-ელლინთა ლიგას, 1 ქრისტეშობისთვეს მომხდარ ამბების გამო აფიცერთა დიდი უმრავლესობა სამსახურიდან გადადგა.

ამერიკა.

„ნიუ-იორკ ვორ“ დაჟინებით ამბობს: უილსონი ეცდება გერმანეთს დააკმაყოფილებინოს მოკავშირეთა მიერ წამოყენებული დებულებანიო.

„დაილ. მელ.“-ის ვაშინგტონელი კორესპონდენტი იუწყება: ბეტმან ჰოლვეგი მზად არის ინგლისს მთავრობას საზავო პირობები შეატყობინოს, თუ კი იგი საიდუმლოდ შეინახავსო.

გაზეთების აზრი.

„ბერლ. ტაგ.“ აღნიშნავს, რომ ინგლის-გერმანეთის შორის ხიდი ისევ ჩატეხილია.

„ლოკალ ანც“.-ი ამბობს: თუ ომი ახლა არ შესწყდა, იგი საუკუნო გახდება.

„ფორვერტი“ ხაზს უსვამს კანცლერის ზოგიერთ განცხადებას და აღნიშნავს: „რასაკვირველია, ცენტრალური სახელმწიფოები არ ჩაიცმენ მომნანიებელთა ძაძას. ლლოიდ ჯორჯის მოთხოვნილება მხოლოდ მაშინ დაკმაყოფილდება, როდესაც ორივე იმპერიაში ქვა ქვაზე აღარ დარჩება!“

რუმინეთი.

გერმანელები ვლახეთში.

იასიდან იტყობინებიან: რაწამს გერმანელებმა ფეხი მოიმაგრეს ვლახეთში, მაშინვე შეადგინეს შერეული კომისია ავსტრიელების, უნგრელების, გერმანელების და ბულგარებისაგან. კომისია დადის სოფელ-სოფელ, კარდაკარ და სოფლის სამეურნეო ნაწარმოების აღწერას ახდენს. ხორბლეულობა სულ მიაქვთ, პატრონს უტოვებენ მხოლოდ ახალ მოსავლამდე საკმარს ხორბალსა და სათესლეს. წაღებულ სანოვაგეში უტოვებენ სარეკვიზიციო კვიტანციას დაბალის ფასებით, ვისაც საკვები და სათესლე მორჩება უფლება არა აქვს გაჰყიდოს. აგროვებენ აგრეთვე რკინისა და თუჯის ნატეხებსაც. მეტი წილი სანოვაგისა გააქვთ გერმანეთში, დანარჩენი ბულგარეთსა და ავსტრიაში. დაიბარეს და ჩამოვიდნენ კიდეც გერმანელების საალაფო კომისიის წევრნი, რომლებიც წინად რუმინეთში ხორბლეულობას ყიდულობდნენ და კარგად იციან თუ სად რა მოიპოვება.

ბრაილოვსა და გალაცში

ბრაილოვსა და გალაცს აუარებელი ლტოლვილი მიაწყდა. მოვიდნენ აგრეთვე ვლახეთის ნავთის სამრეწველოების პატრონი ჰოლანდიელები და ამერიკელები. ისინი, თურმე, ადგილიდან დაძვრას არ აპირებდნენ, მაგრამ მთავრობამ გაანადგურებინა ნავთის სამრეწველოები და თავდებობაც მისცა, რომ ზარალს აუნაზღაურებს.

დუნაიზე

დუნაიზე გამუდმებით მიმოდის რუმინელების სამდინარო გემები და განუწყვეტლივ გადაჰყავთ ლტოლვილნი რუსეთის ნაპირზე. ლტოლვილი რუმინელები უფრო ჩრდილოეთ მოლდავიისაკენ მიიმართებიან. ბერძნები და სომხები კი, რომელთაც ამ მხარეში დიდი ახალშენები აქვთ, რუსეთისაკენ ეშურებიან.

დობრუჯაში.

„რ. ვ.“-ის სამხედრო მიმომხილველი ამ თვის 10-ის თარიღით წერს: დობრუჯში ჩვენ გვეჭირავს ბრძოლის ხაზი 20—25 ვერსის სიგანისა. მოპირდაპირე სცდილობს სრულებით გამოგვდევნოს დობრუჯიდან. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ვისაც ვლახეთი უპყრია დობრუჯიც თავისთავად მის ხელშია, ამისათვის დობრუჯში ჩვენს დარჩენას აზრი აღარა აქვს, რადგანაც აქტიურ მოქმედებას ველარ ვაწარმოებთო.

უკანასკნელი ცნობები

„დენი“ ს აზრით, ამერიკის წინადადება ზავის ჩამოსაგდებად გამოწვეულია ეკონომიურ მოსაზრებით. ჩრდილო ამერიკა ბამბის ვაჭრობას მაშინ გააჩაღებს, უკეთუ ინგლისის ბლოკადა მოიხსნებაო. დღეს კი მარტო მოკავშირეთაგან შეკვეთილი ბამბა დიდს არაფერ მოგებას იძლევა. ამერიკელ პლანტატორებს ესაჭიროებათ, რომ მთელი ევროპის ბაზარი გაეხსნათ და ამიტომაც უილსონის პირით მოითხოვენ ზავის ჩამოგდებასაო.

—

ბულგარეთის მეფე ბულგარეთ-ავსტრია გერმანეთის ჯარის მიერ დაპყრობილ ადგილებს რუმინეთისას ბულგარეთის საკუთრებად აცხადებს. მას შუამდგომლობა აღუძრავს ამ ადგილებში გენერალ-გუბერნატორად ბულგარები დაინიშნოს. მაკენზენი და ფალკენჰაინი ამის წინააღმდეგნი წასულან, მაგრამ ბულგარეთის მეფეს იმდენი მოუხერხებია, რომ მეორე ხარისხოვან თანამდებობაზე ბულგარელები დაუნიშნავს.

—

ბრუსილოვს ჯარში ბრძანება გაუცია, სადაც ნათქვამია: გერმანელთ პოლონელთა ძველის ძველი მტრები არიან და ეხლა პოლონეთს დამოუკიდებლობა იმ მიზნით მიანიჭეს, რომ ჯარი მოკრიფონო. ბრუსილოვი იმედს აცხადებს, რომ რუსეთის ჯარში მყოფი პოლონელები გერმანელების მოწოდებას არ აჰყვებიან და როცა გერმანელებს დავამარცხებთ, ერთგული პოლონელები დამშვიდებულნი დაუბრუნდებიან თავიანთ ნაცნობ ადგილებსაო.

—

საბერძნეთის სინოდს განზრახვა აქვს ვენიზელოსის დროებითი მთავრობა დასწყევლოს.

—

დობრუჯაში მოკავშირეთა ჯარის ჩრდილოეთისკენ უკან დახევა გრძელდება.

ახალი ამბავი

სასახლეში

◆ მეფის ნაცვალს სადარბაზოდ გუშინ წარუდგა ქართლ-კახეთის სამღვდელოების კრების მიერ არჩეული დეპუტაცია და მიართვა მოხსენება, რომელსაც ცალკე ვსტამბავთ.

მთავრობის დაწესებულებანი.

◆ **მევენახეობა-მეღვინეობის ცოდნის გავრცელება.** 12 ამა თვეს მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტმა განიხილა მიწადმოქმედების დეპარტამენტის წინადადება, 1) არსებულ სასოფლოსამეურნეო სასწავლებლებში მევენახეობა-მევენახეობის სწავლებას მეტი ყურადღება მიექცეს, 2) დაარსდეს ახალი სასწავლებლები მევენახეობა-მეღვინეობისა და 3) სასწავლებლებს გარეშე მოეწყოს ამ ცოდნის გავრცელება ხალხში და დასახიჩრებულ ჯარის კაცთა შორის.

ამ საკითხის შესახებ, შემდეგ ხანგრძლივი თათბირისა, კომიტეტმა დაადგინა: 1) თბილისის მებაღეობის სკოლაში მევენახეობა-მეღვინეობის სწავლებას დიდი ყურადღება მიაპყრას და ამასთანავე ვაზნარს ადგილი გაადიდოს. 2) წინამძღვრიანთ-კარში აღნიშნულ საგნების სწავლება ვინაიდან შესაფერს დონეზეა დაყენებული, კომიტეტმა სთხოვოს მიწადმოქმედების დეპარტამენტს, რომ მომეტებული თანხა გადასდვას ამ სასწავლებლის დასახმარებლად. 3) საცხენისის ორკლასიან სასწავლებელთან დაარსდეს 2 სპეციალი კლასი მევენახეობა-მეღვინეობისა, მეხილეობისა და მებოსტნეობის სასწავლებლად. 4) ოძისის სკოლაში მევენახეობა-მეღვინეობის სწავლების გასაუმჯობესებლად სწავლება 3-ს წლამდე იყვეს და მოსწავლეთა რიცხვი 45 კაცამდე ავიდეს. 5) დაარსდეს კახეთში მევენახეობა-მეღვინეობის სასწავლებელი და ქართლში შერეული საგნებისა. ამ სასწავლებლებიდან იმდენად მომზადებულები უნდა გამოვიდნენ ახალგაზდები, რომ მათ შეეძლოთ ინსტრუქტორობა, აგენტობა, მასწავლებლობა და სხ. თუ აღნი-

შნულ 2 სასწავლებლის დაარსება შეუძლებელი შეიქნა, იმ შემთხვევაში ერთი მაინც უთუოდ დაარსდეს, რომელშიაც სხვა საგანთა შორის, მეღვინეობა-მევენახეობის სწავლებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. 6) მოეწყოს მოძრავი კურსები პრაქტიკულად მევენახეობა-მეღვინეობის გასავრცელებლად ხალხში. კურსების მომწყობთ დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ დასახიჩრებულ ჯარის კაცებს და ისეთი ცოდნა გადასცეს მათ, რომელიც მათთვის პრაქტიკულად გამოსადეგი იქნება.

◆ **მეფის ნაცვლის კანცელარიამ** 500,000 მანეთი გაუგზავნა ქალაქთა კავშირის განყოფილებას გადმოხვეწილთა საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

ქალაქის დაწესებულებანი.

◆ **ქალაქის კავშირის** ბათომის კომიტეტი 100.000 მან. სთხოვს კავშირის განყოფილებას ტრაპიზონის რაიონში აუცილებელ ხარჯების გასაძღოლად.

◆ **ქალაქის სასურსათო დუქანთან** ავლაბარში ხალხი ღამეს ათევს, რათა დილით მოახერხოს ხვედრი შაქრის მიღება. ქალაქის გამგეობას დიდი ხანია გადაწყვეტილი ჰქონდა ავლაბარში მეორე სასურსათო დუქანი მოეწყო, მაგრამ გაუგებარი მიზეზის გამო ჯერ კიდევ არ მოუწყვია.

სხვა და სხვა ამბები.

◆ **შაქარი.** თბილისის სასტუმროების, მორთულ ოთახების, რესტორანების და სხვათა პატრონების ურთიერთ დამხმარე საზოგადოების გამგეობამ სთხოვა თბილისის გამგეობას 460 ფუთი შაქარი თავის წევრთა შორის გასანაწილებლათ. თბილისის გამგეობამ გადასწყვიტა მისცეს მხოლოთ ერთი მესამედი ნათხოვარისა. შაქარს გამგეობა მიიღებს ამ დღეებში და დაურიგებს თავისს წევრებს, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გამგეობის წევრები, განსაკუთრებით კი დროებით თავმჯდომარე ნ. სიხარულიძე, დიდს ენერგიას და მეცადინეობას იჩენენ, რათა საზოგადოების წევრნი უზრუნველყოფილ იქმნენ პირველ უსაჭიროეს სანოვაგის მხრივ.

◆ **ხარფუხის კლუბი.** დღეს მუსულმანთა დრამატიულ საზოგადოების არტისთა მიერ წარმოდგენილ იქნება: არშინ-მალა-ლანი. ოპერეტაზე შესვლა უფასოა.

◆ **სახალხო მასწავლებელნი და სამხედრო ბეგარა.** შინაგან საქმეთა და განათლების მინისტრთა შეთანხმებით განთავისუფლებულ იქმნებია სამხედრო ბეგრისაგან როგორც სათადარიგო, ისე მე-2 ხარისხის მოლაშქრენი, რომელთაც ავადმყოფობის გამო ვადა მიუღიათ.

◆ **თბილისის პოლიტეხნიკუმს** ექნება ოთხი განყოფილება: საქიმიო, საჰიდრავლიკო, საეკონომიო და სასოფლო-სამეურნეო.

◆ **პეტროგრადის უნივერსიტეტში** პროფესორთა საბჭოს სომხურისა და ქართულ ენის კათედრაზე პროფესორად აურჩევია პრივატ-დოცენტი ნ. ადონცი.

◆ **სახალხო მასწავლებელთა საზოგადოების** თელავის განყოფილების წევრთ 22 ამა თვეს კრება ექნებათ. კრების საგანია შეიმუშაოს პროგრამა მომავალ საპედაგოგიო კურსებისა და აირჩიოს გამგეობა.

◆ **ლექცია ქართულ ლიტერატურაზე.** დღეს, 16 ქრისტეშობისთვეს, საღამოს 8 საათზე, სომეხ მწერალთა საზოგადოების თხოვნით, სამუსიკო სკოლის დარბაზში ილია ნაკაშიძე რეფერატს წაიკითხავს შემდეგ თემაზე: „ნაროდნიკები ქართულ ლიტერატურაში“.

◆ **ა. ი. გუჩკოვი.** სამხედრო ასპარეზიდან თბილისში მობრუნდა სახელმწიფო საბჭოს წევრი, სამხედრო სამრეწველო ცენტრალ კომიტეტის თავმჯდომარე, ა. ი. გუჩკოვი. 13 ამა თვეს გუჩკოვი დაესწრო ამიერ-კავკასიის საოლქო სამხ.-სამრ. კომიტეტის სხდომას, რომელიც მოხდა ბ-ნ ზავალიშინის თავმჯდომარეობით. კომიტეტმა ამ დღეს შემდეგი მოხსენებანი განიხილა და შეიწყნარა: 1) მოეწყოს სამოსელთა სამკერვალოები მხედრობის საჭიროებისათვის და ამ საქმის განსახორციელებლად გადაიდვას 230,940 მან. 2) აგრეთვე მოეწყოს ფეხსაცმელების სახელოსნოები, რისთვისაც გადადებულ უნდა იქმნას 49,500 მანეთი; 3) მოეწყოს საქონლის გადატან გადმოტანის საშუალებანი და ამისათვის გადაიდვას 300,000 მანეთი და 4) გამართოს ბრძოლის ასპარეზზე 6 სასურსათო დუქანი, რისთვისაც გადაიდვას 300,000 მ. ბ. გუჩკოვმა მადლობა გამოუცხადა კომიტეტის წევრებს ენერგიულ და ნაყოფიერ მუშაობისათვის და აღუთქვა, რომ საჭირო თანხას დაუყოვნებლივ გამოგზავნის ცენტრალი კომიტეტიო. გუშინ, 15 ამა თვეს, ბ-ნი გუჩკოვი დაესწრო ქალაქთა კავშირის ამიერ კავკასიის მთავარ კომიტეტის სხდომას.

ქუთაისი.

ქრისტეშობისთვის 11-ს შესდგა ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების წლიური კრება. განსახილველი იყო საზოგადოების სტამბის გაყიდვის საქმე. კენჭის ყრით 26 მომხრეა გაყიდვისა, 27 მოწინააღმდეგე. დაადგინეს მისი გაუყიდველობა.

— ჭიათურაში ნოტარიუსად დაინიშნა ვასილ აბულაძე, საოლქო სასამართლოს ნაწევრალი.

— ქუთაისის გუბერნატორმა ნება დართო ვასილ ჭითავას მოიწვიოს დეკემბრის 15 ქუთაისში მცხოვრებ ლიტერატორთა კრება ქუთაისის ლიტერატორთა საზოგადოების წესდების შესამუშავებლად.

— საგუბერნიო აგრონომს ბ-ნ ვასილევსკის ამბავი მოუვიდა ბაქოდან, რომ კრასნოვსკის ფირმას დიდძალი შაბიამანი და გოგირდი ჰქონია გასასყიდათ. შაბიამანს ფუთს 17 მანეთად აფასებს ფირმა, ხოლო გოგირდს 16 მანეთად.

— საგუბერნიო ექიმის თანაშემწემ ნიკ. შენგელიამ სამსახურს თავი დაანება. მის ადგილზე დაინიშნა ქალაქის ექიმი თ-დი დავ. ლორთქიფანიძე.

— გ. ზდანოვიჩი თავს კარგათ გრძნობს.

ჭიათურა.

ამ ჟამათ მ. ითხვისში (ჭიათურის რაიონი) ვილაც აგენტები ყიდულობენ შავ-ქვიან მამულებს „ბელგიის“ საზოგადოების სახელით. ქცევა მამულს ყიდულობენ 500—400 მანეთათ, მაშინ, როდესაც წინეთ იმ ადგილებში იძლეოდენ 2500—3000 მანეთამდე. ზოგჯერ მხოლოდ იბევებენ მამულს, და ადგენენ ნოტარიალურ პირობებს. რამდენსამე თუმანს ქცევაზე ახლა აძლევენ და დანარჩენი ომის გათავების შემდეგ უნდა მოუთაონ.

როგორც ვიცით, გერმანელ ფირმების მამულებს მთავრობა ლიკვიდაციას უკეთებს. ამ მამულების შეძენა უნდა „სიუზდსა“ და თავად-აზნაურობას.

ასე რომ გერმანელებს ამიერიდან შავი ქვიანი მამულების ყიდვის უფლება არ ექნებათ, მაგრამ თუ ის მამულები, რომლებიც ახლა გაუყიდავია, ბელგიის ან სხვა უცხო ქვეყნის ფირმებს ჩაუვარდათ ხელში, განა ჩვენთვის სულ ერთი არ იქნება?! და სწორედ ამაზე ამბობს ჩვენი ხალხური ანდაზა: „გინდ მგელს შეუჭამია და გინდ მგლის ფერ ძაღლსაო“. ამიტომ საჭიროა ჩვენმა საზოგადოებამ იზრუნოს ამ გაუყიდველ მამულების შეძენისთვისაც.

თელავი.

აქაურ ბაზარზე იყიდება ინდოური 6—7 მან., დედალი 1 მ. 60 კაპ.—2 მ. ვარია 80 კ.—1 მან., გირვანქა კარტოფილი 6 კ., ხახვი 12 კ., ნიორი 20—25 კ., კაკალი 25 კ., ნიგოზი 80 კაპ., კამეჩის ერბო 1 მ. 60 კ., ხორცი ღორისა 40 კ., ძროხისა 30 კაპ., ცხვარი და თხა არ იკვლება და თუ დაკლეს, თხისა 40 კაპ., გელაქნური 1 მან., ფიჩხული 1 მან. ზამთრის ვაშლი 4 მან. მსხალი 4 მან. 50 კ., ჩურჩხელა 20 ცალი 5—6 მან.; კვერცხი 3 ცალი 20 კაპ., შვინდის ჩურჩა 15—20 კაპ. არ იშოვება: ძროხის ერბო, ზეთი, ბრინჯი, ყველი მარტო მომხმარებელ საზოგადოების მაღაზიაში არის გირ. 80 კაპ.

— აქეთ სოფლებში ეხლა ღვინოები იყიდება საპალნე 320—400 მანეთამდე.

— რადგანაც სოფლებიდგან დიდძალი შეშა შემოდის, მის ფასმა საგრძნობლად დაიწია. კარგა დადებული ურემი 7—12 მანეთამდე ფასობს.

სამღვდელოების კრებაზე

გუშინ ქართლ-კახეთის სამღვდელოების საეპარქიო კრებაზე მის იმპერატორებითის უდიდებულესობის მეფის ნაცვლის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძისთვის მისართმევად შემუშავებულ იქმნა მოხსენება, რომელშიაც, სხვათა შორის ნათქვამია: სამღვდელოების კრებას სულითა და გულითა სურს განამტკიცოს საქართველოს ერს, ერთგულება და დედა-შვილური სიყვარული თვის დედა ეკლესიის მიმართ, აგრეთვე განამტკიცოს ერთგულება და სიყვარული მისი ჩვენ საყვარელ ხელმწიფის მიმართ. ამავე სამღვდელოებას ჟამის შესაფერად და აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია სთხოვოს მის იმპერატორებითს უდიდებულესობას მოახსენოს სამღვდელოების უქვეშევრდომილესი თხოვნა ხელმწიფე იმპერატორს, რათა განხორციელებულ იქმნეს სურვილი მთელის საქართველოს ერისა და უმოწყალესად აღდგენილ იქმნეს ავტოკეფალია საქართველოს ეკლესიისა; შემოღებულ იქმნას საქართველოს საექსარხოსოს საშუალო და დაბალ სკოლებში, სადაც ქართველები სწავლობენ, სამღთო სჯულისა და სალვთისმეტყველო საგნების სწავლება სამშობლო ენაზე, რათა ამ სწორისა და უტყუარის გზით აღდგენილ და განმტკიცებულ იქმნას ხალხში სარწმუნოება და ზნეობა და აგრეთვე განვითარდეს მათ შორის ძველი ქართული საეკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრება.

წერა-კითხვის გამავრც. საზ. წლიური კრება

18 ქრისტეშობისთვე.

(გაგრძელება)

ილ. ნაკაშიძე უპასუხებს ბ-ნ არონიშიძეს და აცხადებს, რომ სამკითხველოსათვის რუსული წიგნები და გაზეთები ვისმეს შეუწირავს, თორემ ჩვენ არ გაგვიგზავნია მისთვისო, თუმცა რუსულ წიგნებისა და გაზეთების წინააღმდეგი სრულებითაც არა ვარ ქართული ლიტერატურის სიღარიბის გამოვო. რაც შეეხება სამკითხველოების უყურადღებობას, ამას ადასტურებს ბ-ნი ნაკაშიძე, მაგრამ ამ არა სასიამოვნო მოვლენას იმით ხსნის, რომ სექციაში სამიოდე კაცი მუშაობს შემთხვევით, რომელნიც ვერ ასწრებენ ყველაფრის გაკეთებას რიგზედ და ამიტომ ჯამაგირიანი კაცების ყოლა საჭიროდ მიაჩნია.

ბ-ნი გრ. ბურჭულაძე, თავმჯდომარის ნებართვით, ისევ უბრუნდება სასკოლო საქმეებს და აღნიშნავს, რომ საზოგადოების სკოლები მოუწყობელია, ბევრი მათგანი მაინც, მაგრამ სწავლა-აღზრდის საქმე შედარებით იქ უკეთ არის დაყენებულიო. სამკითხველოების შესახებ ბ-ნი ბურჭულაძე აცხადებს, რომ სამკითხველოებს ადგილობრივი საზოგადოებანი ინახვენ, ჩვენ მხოლოდ დახმარებას ვაძლევთო. თბილისში, მისის ანგარიშით, სამკითხველოს სჭირდება წლიურად 800 მან., წერა-კითხვის საზოგადოება აძლევს 200 მანეთს, სოფლად სჭირდება 300 მანეთამდე, საზოგადოება აძლევს 50 მან. თუ საზოგადო კრება მოახერხებს და მეტ ფულს გაიღებს, საქმე უკეთ წავაო.

ბ-ნი ირ. რამიშვილი „უნუგეშობას“ არსად არ ჰხედავს სამკითხველოებში. უნუგეშო მომაკვდავს ჰქვიანო,—ამბობს ის. გაუგზავნეთ სამკითხველოებს წიგნები, დაუნიშნეთ ბ-ნ ბურჭულაძეს თანაშემწე და ყველაფერი ხელად გამოკეთდებაო. შემდეგ ბ-ნი რამიშვილი, უპასუხებს-რა გ. გორდეზიანს, ამტკიცებს, რომ ასეთ სიძვირის დროს ილიასეულ სახლის შესაკეთებლად ვალის აღება დიდი უანგარიშობა იქნება, რადგან სახლის შემოსავალი ვალის სარგებელს ვერ დაჰფარავსო.

პლ. ლეჟავა. იმ აზრის არის, რომ სამკითხველოებს პირველხანადვე მოსაწყობად მთელი ხარჯი საზოგადოებამ იკისროს, რისთვისაც საჭირო თანხა ხარჯთაღრიცხვაში უნდა იქმნას შეტანილი.

ნ რამიშვილის აზრით, გადაჭარბებულია ზოგიერთ ორატორთა და სარევიზიო კომისიის ლაპარაკი სამკითხველოების აწონ-დაწონაში. სამკითხველოს რაც უნდა ნაკლულევანება ჰქონდეს, მაინც დიდი სარგებლობა მოაქვს, რადგან ეს ერთად-ერთი კულტურული კერაა ბევრს მივარდნილ ადგილას. ამიტომ სამკითხველოების რიცხვი, რამდენადაც-კი შეიძლება, უნდა გავრცელდეს და ეს საქმე დაევალოს საზოგადოების განყოფილებებს.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოების ანგარიში დამტკიცდა ბ-ნ გ. ლასხიშვილის შემდეგი განმარტებით. მომავალ საზოგადო კრებას, რომელმაც უნდა განიხილოს ხარჯთ-აღრიცხვა, გამგეობამ წარმოუდგინოს პროექტი საქმის საჭიროდ მოწყობისა.

შემდეგ კრებამ უკამათოდ ანუ მცირე კამათის შემდეგ დაამტკიცა სამუზეუმო, საგამომცემლო და სასტიპენდიო.

დამტკიცდა აგრეთვე საზოგადოების შემოსავალ-გასავლის ანგარიში. ამ ანგარიშის განხილვის დროს **დეკ. ნ. თალაკვაძემ** კრებას გააცნო სარევიზიო კომისიის ან. ღულაძის პროექტი, რომ წიგნის მაღაზია თუ გაფართოვდება და წიგნებითა და სამოსწავლო ნივთებით ვაჭრობა შესაფერისად მოეწყობა, ეს საქმე დიდ სარგებლობას მისცემს საზოგადოებასო. ამავე დროს **ვ. დუშურაშვილმა** მოითხოვა, რომ წიგნის მაღაზიის მოსამსახურეთ შრომის ფასი მოემატოსო, რადგან წარმატება საქმისა მათზეა დამოკიდებული, ხოლო თუ შესაფერისი ჯილდო არ მიეცათ, ისე ნაყოფიერად ვერ იმუშავებენ.

ანგარიშის დამტკიცების შემდეგ კრება შეუდგა აკაკი წერეთლის ანდერძის განხილვას. ამ საგნის შესახებ გამგეობამ შემდეგი მოხსენება წარმოუდგინა კრებას:

ანდერძის ძალით, წ.-კ. საზოგადოებამ ნაანდერძევ მამულში უნდა დაარსოს ქალთა საპროფესიონალო სკოლა. ამ საგნის განხორციელების გასაადვილებლად ქართ. საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების გამგეობაც უარს ამბობს თავის უფლებაზე ჩვენის საზოგადოების სასარგებლოდ და ჩვენს განკარგულებაში სტოვებს მამულის მეორე ნაწილს, ვენახს, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ძნელი მოსახერხებელია იურიდიულის მხრით, რადგან საისტ.-საეთნოგრაფიო საზოგადოებას ანდერძი აკისრებს სულ სხვა მოვალეობას—ზეპირ-სიტყვაობის ნაწარმოებთა შეკრება-გამოცემას. საკუთრად, ჩვენის საზოგადოებისათვის ნაანდერძევი მამული შეიცავს ორი ათას ოთხკუთხ საჟენს, რომელზედაც, გამოყოფის შემდეგ, ბანკის ვალი იქნება დაახლოვებით ოთხი ათას ხუთასი მანეთი. (4500 მ.)

ასეთ პირობებში უნდა გადაწყდეს საკითხი აკაკის ნაანდერძევ მამულის მიღების შესახებ. ამ საკითხის გადაწყვეტის დროს, გამგეობის აზრით, მთავარი მნიშვნელობა მორალურს მხარეს აქვს. საზოგადოება მოვალეა თავის ხელში დაიტოვოს და მოუაროს იმ ადგილს, სადაც დიდებული მგოსანი დაიბადა და აღიზარდა, მოვალეა აღასრულოს მისი უკანასკნელი ნება. ქართველმა საზოგადოებამ უკვე ერთ ნაწილში დაარღვია მგოსნის ანდერძი: არ დაკრძალა მისი ნეშთი სხვიტორის ეკლესიაში, თუმცა ეს ნება კატეგორიულადაა გამოცხადებული ანდერძში. და ეხლა დიდი დანაშაულობა იქნება მგოსნის ხსოვნის წინაშე, რომ ანდერძზე უარი ვსთქვით და მგოსნის საყვარელი სხვიტორი ბანკის ვალში გაიყიდოს, ვინ იცის ვისზე და რა მიზნისათვის.

რაც შეეხება საკითხის პრაქტიკულ მხარეს, უნდა აღინიშნოს, რომ აქ საქმე ცოტათი რთულია და სავსებით გამორკვეული არ არის. საქმე ისაა, რომ გამგეობას შიში აქვს ანდერძი ტვირთად არ დააწვეს კისერზე საზოგადოებას. ბანკის ვალი იმდენად საშიში არ არის: ჯერ-ჯერობით ქუთაისის ბანკის რწმუნებულთა კრება მოგებიდან ისტუმრებს სავალო გადასახადებს, შემდეგში თუ ვალი არ მოიხსნა, შეიძლება ისეთივე კომბინაციით გავისტუმროთ ეს ვალი, როგორითაც დავიხსენით ილიასეული სახლი თბილისში. მაგრამ არსებობს კიდევ კერძო ვალები, რომელთა შესახებ გამგეობამ ჯერ დანამდვილებით არაფერი იცის.

ყველა ზემოხსენებულ გარემოებათა მიხედვით, გამგეობამ, ხმის უმეტესობით, პრინციპიალურად შესაძლებლად და საჭიროდ დაინახა აკაკის ანდერძის მიღება, მაგრამ, სიფრთხილის გულისათვის, ყველა გარემოებათა გამორკვევამდე ახლავ არ ასრულებს ამას და სთხოვს საზოგადო კრებას ამ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტისა და საქმის დასრულების სრული უფლება მიენიჭოს გამგეობას.

ხანგრძლივ კამათის შემდეგ კრებამ შეიწყნარა გამგეობის მოხსენება, მაგრამ იმ პირობით, რომ ანდერძის მიღება თუ შეუძლებელი იქნება, არ დააყოვნოს და საზოგადო კრების დაუკითხავად მიიღოს, ხოლო თუ ანდერძის მიღებას, გამგეობის შეხედულობით, რაიმე უძლეველი დაბრკოლება გადაეღობება, იმ შემთხვევაში საზოგადო კრება მოიწვიოს გამგეობამ შესაფერის ინსტრუქციისათვის.

კრება გადაიდვა შემდეგი დღისათვის.

14 ქრისტეშობისთვე.

კრება დაიწყო საღამოს 8 საათზე. თავმჯდომარეობს გ. ნ. ყაზბეგი. კრებაზე ხალხი შედარებით ცოტაა. თავმჯდომარე აცხადებს, რომ კრების მორიგ საგანს შეადგენს საზოგადოების ახლად შესწორებულ და შევსებულ წესდების განხილვა, მაგრამ მოულოდნელ შემთხვევის გამო ჯერ უნდა მოისმინოთ ერთი საყურადღებო საქმე, რომელსაც ბ-ნი ე. თაყაიშვილი მოგახსენებთო.

ბ-ნმა ე. თაყაიშვილმა კრებას მოახსენა ფოტოგრაფ ერმაკოვისეული ნეგატივების შეძენის საჭიროება. ეს ცნობა შემოკლებით კიდევაც იყო ერთხელ დაბეჭდილი ჩვენს გაზეთში. საქმის გარემოება ასეთია: თბილისში ცხოვრობდა და მუშაობდა ფოტოგრაფი ერმაკოვი. თავისს სიცოცხლეში იმან ფოტოგრაფიულად გადაიღო საერთოდ კავკასიისა და კერძოდ საქართველოს ბევრი ადგილები, ისტორიული შენობანი და აუარებელი ისტორიული ნივთები. ამ ისტორიულ ნაშთთა დიდი ნაწილი დღეს აღარ არსებობს: შენობები ზოგი კაცის ხელმა გაანადგურა და ზოგიც თითონ დაიქცა, ხოლო დიდძალი განძეულობა, მაგალითად, მარტვილისა, ჯუმათისა და შემოქმედის მონასტრებისა, მოიპარეს. ერმაკოვს კი ფოტოგრაფიის მთელი ნეგატივები დარჩა და ამის საშუალებით განადგურებულ-დაკარგულ ისტორიულ საგნების ფოტოგრაფიულად აღდგენა ყოველთვის შეიძლება. თავისთავად ცხადია, რომ ერმაკოვის ნეგატივები, რომელნიც 19 ათასზე მეტია, ქართველი ერისათვის მრავალმხრივ დიდ ღირებულობას წარმოადგენს. ბ-ნ ერმაკოვს, როგორც კარგად დაახლოვებულ კაცს ქართველ საზოგადოებასთან, თავისს სიცოცხლეში სურვილი ჰქონია ეს ნეგატივები რომელსამე ქართულ დაწესებულებას შეეძინა და მაშინ, როგორც ბ-ნმა თაყაიშვილმა ამცნო ეხლა კრებას, 30 ათას მანეთად დასთმობდა ნეგატივებს. მაგრამ ეხლა კი გარდაიცვალა და ნეგატივები საკუთრებად დარჩა მის მემკვიდრეს. ამ უკანასკნელსაც ახსოვს ერმაკოვის სურვილი და მზად არის უპირატესობა ქართულ დაწესებულებას არგუნოს, მაგრამ ეხლა ფულიც მეტია საჭირო, ვინაიდან კონკურენტები გაჩდნენ. მაგალითად, ამ ნეგატივებს სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას აძლევს და, როგორც გაზეთებშიაც იყო აღნიშნული, მათი 50 ათას მანეთად შეძენა გადასწყვიტა პეტროგრადის ერმიტაჟთან არსებულმა საარქეოლოგიო კომისიამ. ეს უკანასკნელი აქამდისინ კიდევაც შეისყიდდა ნეგატივებს, მაგრამ თავისი გადაწყვეტილება კომისიას უნდა მოეხსენებინა ხელმწიფისათვის, როგორც ერმიტაჟის უზენაეს მფარველისათვის, ხოლო თანამედროე ომის გამო ჯერ ეს ვერ მოახერხა კომისიამ და ნეგატივების სყიდვა დროებით შეჩერდა. ნეგატივებისავე შეძენა ჰქონებია აზრად მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოებას და იმის თავმჯდომარეს გრაფის მეუღლე უვაროვისას დახმარებაც უთხოვნია მეფის ნაცვლის ნიკოლოზ ნიკოლოზისათვის. ნეგატივებისავე შეძენა სდომებია აგრეთვე კავკასიის მუზეუმს და სხ. ერთი სიტყვით, მუშტარი ბევრია. ამ რიგად ნეგატივების ფასი დღეს 50.000 მანეთია და ამის მიმცემიც ბევრია. ქართულ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას არ უნდა ხელიდან გაუშვას ნეგატივები და მათი დღევანდელი პატრონიც უპირატესობას აძლევს საზოგადოებას, მაგრამ საკმაო ფული არ გააჩნია ამ უკანასკნელს. ამიტომ საეტნოგრაფიო საზოგადოებას დახმარება უთხოვნია მეორე ქართული საზოგადოებისათვის, სახელდობრ, წერა-კითხვის საზოგადოებისათვის, მაგრამ ამ უკანასკნელს განუცხადებია, რომ ამხანაგად შემოვალ და მხოლოდ 10 000 მანეთს შემოვიტანო, დანარჩენი შენი იშოვნეო. 10 ათასი მანეთისათვის-კი საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას ხელი აღარ მოუკიდნია, რადგან ამით ვერას გახდებოდა.

ბ-ნ თაყაიშვილს, როგორც თავმჯდომარეს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებისას, უკიდურეს შემთხვევაში სესხად უთხოვნია წერა-კითხვის საზოგადოებისათვის 35,000 მანეთი განსაზღვრულის სარგებლით, დანარჩენი 15,000 მანეთი თითონ იმავე საზოგადოებას ჰქონია. და, აი, ბ-ნი თაყაიშვილი თავისს შუამდგომლობას ეხლა კრების წინაშე იცავდა.

წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობა თანახმა ყოფილა სამუზეუმო თანხიდან ფულის სესხებისა, მაგრამ საზოგადო კრების დაუკითხავად ამას ვერ ბედავდა.

მოხსენებამ ცხარე კამათი გამოიწვია.

ბ-ნი გ. ცინცაძე თანახმა იყო 10,000 მანეთის სესხებისა, მაგრამ ამაზე მეტს ვერ ბედავდა, რადგან ეთნოგრაფიული საზოგადოება ღარიბია და ჩვენ რომ ჩვენი ფული დაგვჭირდეს, ვერ შესძლებს მაშინვე გადახდასო.

ბ-ნი დ. დუმბაძე მომხრე იყო 20,000 მანეთის სესხებისა.

ბ-ნი ი. ზედგინიძე ურჩევდა კრებას, რომ 10,000 მანეთი ხელაღებით შევეწიოთ, ხოლო დანარჩენი 25,000 მანეთი სესხად მივცეთო.

ბ-ნი ე. თაყაიშვილი არ კმაყოფილდებოდა არც 10,000 და არც 20,000 მანეთით, ამასთანავე შეწირულებაზედაც უარს ამბობდა და გადაჭრით თხოულობდა სესხად 35,000 მანეთს განსაზღვრულის პროცენტით.

კრებამ შუამდგომლობა დააკმაყოფილა 19 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 2 სა.

შემდეგ კრება უნდა შესდგომოდა წესდების პროექტის განხილვას, მაგრამ რადგან კრება მცირე-რიცხოვანი იყო, ხოლო პროექტი კი თხოულობს საზოგადოების ძირითად რეორგანიზაციას, ამ საგნის განხილვა გადაიდვა. კრების დღე გაზეთებში იქნება გამოცხადებული.

რუსეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშობაო არდადეგები და 87 მუხლი.

მინისტრთა თავმჯდომარემ მინისტრებს წინადადებით მიმართა, რომ საკანონმდებლო დაწესებულებათა საშობაო არდადეგების დროს 87 მუხლის ძალით არავითარი კანონპროექტი არ იქნეს გაყვანილი.

საპატიო მოქალაქეებად არჩევა მარკოვისა და შტიურმერისა.

ქალაქმა კურსკმა საშინაო საქმეთა სამინისტროს წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რომ სახელმწიფო სათათბიროს წევრი მარკოვი-მეორე საპატიო მოქალაქედ იქმნეს დამტკიცებული იმ სიტყვის გამო, რომელმაც მისი 15 სხდომიდან გაძევება გამოიწვია.

ასეთივე შუამდგომლობა აღძრა ქ. ტობოლსკის გამგეობამ ყოფილ მინისტრთა თავმჯდომარის შტიურმერის შესახებ.

ბობრინსკი და პროტოპოპოვი.

მეფის სადგომში წასვლის წინ, მინისტრთა თავმჯდომარე იუსტიციის მინისტრს ესაუბრა და განუცხადა, რომ უკან დაბრუნებამდე არავითარი განკარგულების მოხდენა არ შემიძლიაო. ამასთან ერთად დაჟინებით ამბობენ, რომ ყოფილი სამიწადმოქმედო მინისტრი ბობრინსკი ისევ აქტიურ მუშაობისათვის იქმნება მოწვეული და მოკლე ხანში დიდ და პასუხსაგებ ადგილს მისცემენო, რომელზედაც მხოლოდ დროებით დარჩება, ვიდრე პროტოპოპოვი შესძლებს მის შეცვლასაო.

წერილი პეტროგრადიდან

(ვაჭარ-მრეწველთა წრიდან სახელმწ. საბჭოს წევრის არჩევა. ფოთისა და ბათომის საბირჟო კომიტეტების წარმომადგენლები, ბ-ნი ტოკარსკი და თ-დი ლ. ანდრონიკაშვილი.—ბ-ნი ვერმიშევი და სომხური პროგრესისტობა.)

ვიდრე არჩევნების შედეგს გაცნობებდეთ, საჭიროდ მიმაჩნია მოკლეთ მოვაგონოთ ჩვენი გაზეთის მკითხველებს, თუ რანაირი ურთიერთობა დაწესდა ბოლო წლებში ერთის მხრით რუსეთის სატახტო ქალაქების ვაჭარ-მრეწველთა და მეორე მხრით განაპირა ქვეყნების საბირჟო კომიტეტებს შორის. რუსეთის ცენტრისა და ნამეტურ სატახტო ქალაქების მსხვილ ბობოლების ბატონობა შემაფერხებელი გახდა განაპირა ქვეყნების ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებისათვის. მრავალი ადგილობრივი საჭიროება და ისეთი პროექტები, რომელიც განაპირა ქვეყნების ეკონომიურ აღორძინებას ჰქონდათ მიზნად დასახული იფარცხებოდა ამ ვაჭრპატონებისაგან. განაპირა ქვეყნებმა ამ სისტემას ბოლოს და ბოლოს ყურადღება მიაქციეს და მის წინააღმდეგ გაილაშქრეს კიდეც. ამ გალაშქრებამ გარკვეული ხასიათი მიიღო 1911 წელს. მას ხელმძღვანელობდა ბ-ნი ტოკარსკი, ფოთის საბირჟო კომიტეტის წარმომადგენელი. მისი წინადადებით შეერთდნენ ციმბირის, ვოლგის, პოლონეთის, სამხრეთ რუსეთის და კავკასიის საბირჟო კომიტეტები. შეერთებულის ძალებით ამათ უნდა გაეშავებინათ სატახტო ქალაქების ბირჟებისაგან დაყენებული ბობოლები და მათი ადგილები ასე გაენაწილებინათ: იმ 1911 წელს ადგილები უნდა დაეთმოთ ვოლგისა და პოლონეთის წარმომადგენლებისათვის, შემდეგ წელს ბალტიის მხარისთვის, შემდეგ კიდევ ციმბირისა და კავკასიისათვის. ამ ტაქტიკამ გასჭრა. იმ წლის არჩევნებზე გააშავეს ბ-ნი პავლე მილიუკოვი, რომელიც დაყენებული იყო სატახტო ქალაქების ვაჭარ-მრეწველთა წარმომადგენლების მეთაური კრესტოვნიკოვის (სატახტო ბანკებისაგან) აირჩიეს ბ. სტახეევი, ვოლგის კომიტეტისაგან წამოყენებული კანდიდატი. შემდეგ წელს პოლონეთის და სამხრეთ რუსეთის კანდიდატები გაიყვანეს. შარშან კავკასიის რიგი იყო, მაგრამ რაკი გამწვავებული მომენტი დადგა და ვაჭრობა-მრეწველობას თავისი დროშა უნდა აეფრიალებინა მთავრობის წინ, რაკი ამ საქმეში პოლიტიკური მომენტი შეიჭრა არჩევანს რაიონული ხასიათი ახადეს და აირჩიეს ბ-ნი ალ. გუჩკოვი. წრეულს კავკასიის კანდიდატი უნდა აერჩიათ, 1911 წლის შეთანხმების ძალით. კავკასიის ჩადგომამ რიგში დიდი ფაცა-ფუცი დაჰბადა პეტროგრადელ სომეხთა შორის და რამდენადაც ვიცით, კავკასიის სომეხთა შორისაც. აქ პეტროგრადში დატრიალდა ბ-ნი პავლე ლუკასოვი, რომელსაც დიდი გავლენა აქვს აქაურსა და მოსკოველ ბანკებში და სავაჭრო-საფინანსო წრეებში. მაგრამ თვითონ ალბათ კიდევ ახალი გაშავებისა შეეშინდა, რომ ამ შემთხვევაში იგი თავის კანდიდატურაზე აღარ ზრუნავდა, იგი ნიადაგს ბ-ნ ვერმიშევისთვის ამზადებდა. ეხლა თვით არჩევნებზე.

საარჩევნო კრებებზე ბატონი ვერმიშოვი გამოვიდა იმ დემოკრატიულ

მანტიაში, რომელსაც სომხები ასე ეტანებიან საქართველოში ზოგიერთ გულუბრყვილოთა გასაცურებლად. ბ-ნი ქრ. ვერმიშევმა უხამსად მოიხსენია კავკასიის საერობო თათბირი და მისი უმრავლესობა. ბაქიაობამ გაიტაცა სახელ. საბჭოს სავარძლის ზმანებაში ბ-ნი ვერმიშევი და იკვეხიდა მარტო სომხის უმცირესობა იყო ხალხისაგან არჩეული და პროგრესიული ელემენტების თავისუფალი წარმომადგენლები, რუსები, ქართველები და თათრები კი—დანიშნულები იყვნენ მთავრობისაგან, მოხელენი, პირადი ინტერესების მაძიებელნიო და სხვა და სხვა. ამ ტრაბახის და ცილისწამების წ ნაალმდეგ ამხედრდა ფოთის ბირჟის წარმომადგენელი, ინჟინერი ტოკარსკი. თავის სიტყვაში ამ უკანასკნელმა გააცნო რუსეთის ვაჭრობისა და მრეწველობის წარმომადგენელთ კავკასიის ძალმომრეობა, ეხლანდელი ეროვნული პოლიტიკური განხეთქილება ერობის შესახებ, უმრავლესობის, (რუს-ქართველ-მუსულმანთა ბლოკის) მოთხოვნილება და სომხურ უმცირესობის მიდრეკილება და ამტკიცებდა რომ რუსეთის ვაჭრობა და მრეწველობა ვერმიშოვის არჩევით შეურაცხყოფს კავკასიის ხალხთა დიდ უმრავლესობასო და სხვა. ტოკარსკის სიტყვის შემდეგ ვერმიშოვმა წაიოისროლა, რუს-ქართველ-მუსულმანთა ბლოკი მთელმა პროგრესიულმა რუსეთმა სამარცხვინოდ დადაღაო. ამ რეპლიკის საპასუხოდ, ბ-ნმა ტოკარსკიმ დამარწმუნებლის კილოთი და საბუთებით აუხსნა კრებას, რომ სომხები მხოლოდ თვალს უხვევენ ამ პროგრესიულ რუსეთს და რომ მათი ნამდვილი მიზანია „დაურაზმველი სოფლის ქამაო". ბ-ნი ვერმიშევის უსირცხვილო და დემაგოგიური ცილის წამების დროს თავად ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, რომელიც ბათომის საბირჟო კომიტეტის წარმომადგენელია აქ, იჯდა სულ განაბული. თავი ისე ეკავა ტოკარსკისა და ვერმიშევის შეტაკების დროს, თითქოს ჩინეთის საქმეებზე ყოფილიყოს დავა და არა ჩვენი ერთი სადღეისო სერიოზულ საკითხზე! როცა საქმე კენჭის ყრაზე მიდგა, ინჟინერმა ტოკარსკიმ მოხსნა თავისი კანდიდატურა და ვერმიშევის საწინააღმდეგოდ პუტილოვის კანდიდატურა წამოაყენა. მაგრამ პუტილოვი გაშავდა. ამ ამბავმა დიდი სიამოვნება მოჰგვარა თავად ანდრონიკაშვილს, რომელიც სიხარულით მივარდა ბ-ნ ვერმიშევს და მიულოცა პუტილოვის დამარცხება, როგორც საწინდარი ვერმიშევის გამარჯვებისა. მაგრამ როდესაც ვერმიშევიც ყორანსავით გააშავეს და ვოლგის კანდიდატი აირჩიეს, ანდრონიკაშვილი ტრიბუნაზედ გამობრძანდა და ცხარე სიტყვა წარმოსთქვა: „გავაშავეთ მოწინავე აზრის და გეგმის წარმომადგენელი ვერმიშევი (!!!) და არ ავირჩიეთ ისეთი პირი, ვისი პოლიტიკური სახე ჩვენთვის უცნობიაო!" და თხოულობდა ხელ-ახლავ კენჭის ყრას! რაღა საქმა უნდა, რომ თავად ლ. ანდრონიკაშვილის თეთრი კენჭი, ბათომის ბირჟის წარმომადგენლის კენჭი, პროგრესისტ ვერმიშევის ყუთში ჩავარდა!!! ისე ვიქცევით, თითქოს არაფერი გვენაღვლებაო, თითქოს არაფერი გვწამდეს და გული არაფერზედ შეგვტკიოდეს! ჩვენი წინდაუხედაობა ყოველგვარ საზღვარს სცილდება. ჩვენი ორი საბირჟო კომიტეტი, ფოთისა და ბათომისა, ერთმანეთში ვერ შეთანხმებულან, ერთი მეორის საწინააღმდეგოდ გამოდის. წინედ იყო და ბათომიდან ბ-ნი ფედოროვი ჩადიოდა ამგვარ ოინებს, ეხლა კი თ-დ ლუარ. ანდრონიკაშვილი. განა ჩვენი საბირჟო კომიტეტის წარმომადგენლები მოვალენი არ უნდა იყვნენ ჩვენი კაცის გაყვანისათვის იბრძოლონ ყველა სხვების წინააღმდეგ; განა ისინი ვალდებულნი არ არიან იმათ წინააღმდეგ იბრძოლონ და შავი კენჭიც მათ მისცენ, ვინც თავიანთ პოლიტიკურ სიტყვას, საქმეს და გავლენას ჩვენდა სამტროდ და ჩვენი გეგმებისა და მოქმედების ჩასაშლელად მოიხმარს?

პეტროგრადელი.

ქართველი მუსლიმანები

(წინდი სიყვარულისა, მძევალი ნდობისა)

(დასასრული)

საჭიროდ და საყურადღებოდ მიმაჩნია სიამოვნებით ვაცნობო და ვახარო ჩვენს საზოგადოებას, რომ ამ 10 დღის წინად ხულოელმა მღვდელმა პატივცემულმა მამა ბესარიონ დოლიძემ ზემო აჭარიდან ჩამოიყვანა ხუთი აჭარელი ყმაწვილი. ხუთივე ნიჭიერი და მკვირცხლი ყმაწვილია. ესენი ასე არიან განაწილებულნი:

ფოთში. ძმები მერჯან და ასლან ბოლქვაძენი (იუნუს-აღას შვილები). მერჯანის აღზრდა და დაბინავება იკისრა სრულის თავის ხარჯით ბათომის ქალაქის საბჭოს წევრმა ვექილმა ბ. მიხ. ალ. საბახტარიშვილმა (ფოთის მცხოვრებია). ყმაწვილს ასწავლის (უფასოდ) მასწავლებელი ქალი ნინა ანტონის ასული გოგავასი. ასლანის აღზრდის ნახევარი ხარჯის გაღება იტვირთა ყ-დ სამღვდელო ლეონიდე ეპისკოპოსმა, მეორე ნახევარს იხდის წერ. კითხ. გამავ. საზოგადოების ფოთის განყოფილება. ყმაწვილი ბინად არის ქართული ენის მასწავლებელ მღ. ლარვენტი წულაძესთან.

ჩოხატაურში. რიზა-ალი ხოზრევანიძე (მევლედ-აღას ვაჟი). ამ ყმაწვილის ისტორია საყურადღებოა და ბარემ აქვე მოგახსენებთ: ამისი ძმა აღალი, სწავლობდა ხულოს ორკლასიან სკოლაში, დიდათ ნიჭიერი და თავაზიანი ახალგაზრდა იყო. სკოლა ჩინებულად დაასრულა, მაგრამ, სამწუხაროდ სკოლის გათავებისთანავე, სახადისაგან გარდაიცვალა. მისმა სიკვდილმა მთელი ზემო აჭარა დაალონა. 18 წლის ჭაბუკი სრულის შეგნებით ქართველი მაჰმადიანი იყო. აღალის ყოჩალმა დედამ მტკიცედ დაიცვა საყვარელი შვილის აღალის სურვილი და ერთად-ერთი ვაჟი რიზა-ალი აღსაზრდელად გურიაში გამოისტუმრა. რიზა-ალის აღზრდა თავის თავზე მიიღო წერ. კითხ. გამ. საზოგ. ჩოხატაურის განყოფილებამ, ბინად არის ფერშალ თეოფ. ჩიჩუასთან. სასწავლებლისთვის კი ამზადებენ მასწავლებელი ქალები ქ. ქ. იულია ჯულელის ასული და პისტი უშვერიძის ასული.

ხიდისთავში. ასლან ჯინჭარაძე (ობოლი). ამისი აღზრდა-ჭირისუფლობა იკისრა წერა-კითხ. საზ. ადგილობრივმა განყოფილებამ. ბინად არის განყოფილების თავმჯდომარე ბ. ივ. ლ. ანდღულაძესთან.

ოზურგეთში. ბექან ბოლქვაძე (იუნუს-აღას შვილი). ამისი აღზრდაც წერა-კითხვის საზოგად. ადგილობრივმა განყოფილებამ იკისრა. მომზადება კი მასწ. ბ. პარ. თოთიბაძემ. ბავშვი ჯერჯერობით ბინად არის მასწ. ქალთან ქ. ტერეზია თოხაძესთან და სასურველია იქვე დარჩეს. როგორც ხედავთ, ბავშვების, ამ ძვირფასი სტუმრების, მასპინძელ-ჭირისუფლებად ყველგან წერა-კითხვის გამავრ. საზ. განყოფილებებია, და ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ სრული იმედია, ხარჯში სხვა ადგილობრივი კულტურული დაწესებულებანიც შეუდგებიან და კერძო პირებიც დახმარებას არ მოაკლებენ. ოზურგეთში დაბინავებული ბავშის ტანთსაცმელის მიცემა აღგვითქვა ბ. ალ. გ. კალანდაძემ. აქვე სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ გურიაში კიდევ ბევრია მსურველი აღსაზრდელად აჭარელი ყმაწვილები მიიბაროს. თუ რა დიდი შედეგი ექნება ასეთ აღზრდას, ამის შესახებ მე არას მოგახსენებთ.*)

აშ. წ—ძე.

P. S. ქ. ოზურგეთში ბ. ნესტორ ელიაძის ოჯახში თავშეფარებულია ქურთის პატარა 16 წლის გოგონა. ბავშვი გრძნობა დაკარგული უნახავთ ვანის ვილაეტში ჯარის კაცებს და მოუყვანიათ სამხედრო საავათმყოფოში, საცა აფთექის გამგედ ყოფილა მიხ. ნესტ. ელიაძე. ბ. ელიაძე უპატრონო გოგონას ეპატრონა და თავის მამის ოჯახში გამოგზავნა. აქ მისი აღზრდა იკისრა ელიაძის დამ ქ. ფატულიამ. იმ სოფელში, სადაურიც ეს ბავშვი ყოფილა, ამ ერთი ბავშვის მეტი სულ ამოეწყვიტათ. გოგონა ნიჭიერია, ქართულ ლაპარაკს თან და თან სწავლობს, ამბობს, ჩემი სახელი „ომნა" არისო.

ა. წ.

გუშინდელ №-ში კორექტურული შეცთომაა. დაბეჭდილია: „ქართველ ქრისტიანებს ქართველობა ქრისტიანებად მიაჩნდათ". უნდა იყოს: ქართველ მუსლიმანებს და სხვა.

---

*) დიდი მადლობის ღირსია პატივ. მღ. მამა ბესარიონ დოლიძე, რომელიც ასე გულმხურვალეთ ეკიდება აჭარელ ყმაწვილების აღზრდას. ჩვენი კულტურული დაწესებულებანი და კერძო მოქალაქენიც ამაზე უკეთეს საქმეს ვერას გააკეთებენ. ამ გზით რამოდენიმე წლის შემდეგ სამუსლიმანო საქართველოში გვეყოლება მუსლიმანი ქართველები შეგნებულები და თავიანთ კულტურისა და მთლიანი საქართველოს მოყვარულნი.

წერილი ბელაქნიდან

არა მგონია, იმ ქართველს, რომელიც ცოტად თუ ბევრად იცნობს საქართველოს წარსულს, არ გაეგონოს ბელაქნის სახელი. ეს ის სოფელია, რომელმაც საბედისწერო როლი ითამაშა საქართველოს თვითარსებობის მოსპობაში. აქ, ამ სოფელში ირაზმებოდნენ დაღესტნიდან ჩამოსული ლეკები და შემდეგ თავიანთი ბელადების წინამძღოლობით კალიასავით ედებოდნენ მთელს საქართველოს. ბევრჯელ შეეწია თავისი მისვლით ბელაქანი საქართველოს სახელოვანმა მეფემ ერეკლემ, მაგრამ ბელაქანს ძრვა არა ჰქონდა, იგი ცხრათავიან მდევივით ახალ-ახალს თავებს ისხავდა, გადმოჰყავდა დაღესტნიდან ახალი რაზმები და განუწყვეტლივ და გაუთავებლივ აწიოკებდა საქართველოს.—ლეკების ურდოებით პირთამდის სავსეა საქართველო,—ამბობს ერთს თავის, რუსეთში მიწერილ, წერილთაგანში ნეტარცხონებული გმირი მეფე ერეკლე,—კალიასავით მოდებულნი არიან ყველგან და მათგან მოსვენება არა აქვს დიდსა და პატარას, მდიდარსა და ღარიბსაო.

ასეთი იყო ბელაქანი ერეკლე მეფის დროს, მაგრამ ძველად ხომ იგი ცენტრი იყო საქართველოს ნაწილის გაღმამხრად ანუ ჰერეთად წოდებულისა, და ქართველთა ძლიერება დაეცა აქ მხოლოდ შაჰაბაზის მძლავრის მახვილით და ქართველთა მაჯის ცემა შესწყდა და ნელ-ნელა ადგილი ლეკებს დაუთმო და გააბატონა. აბა დახედეთ დღესაც ბელაქანს და მის გვერდით მდებარე მეორე სოფელს კავახჩელს თუ ქართველთა კვალი ყველგან და ყოველივეს დღესაც მძლავრად არ ეტყობა. დახედეთ თვით მცხოვრებლებს, რომელთ შორისაც მრავალი გალეკებული ქართველია და რომელთაც კარგად ახსოვთ თავიანთი ქართველი ჩამომავლობა. აი, გალაჯოვები, ყოფილი ვაჩნაძენი, ნასტაგალაშვილები (დღეს ნასტაგალოვები), ალლაევი (ყოფილი ღალღაშვილები) და სხ. და სხ. დახედეთ სახეს, თვით ტიპს, თუ მრავალნი მათგანნი პირწავარდნილი ქართველები არ იყვნენ. აი ჩემი ნაცნობი ომარა, გუსეინა, რამაზანა, ვინ იტყვის, რომ ესენი ქართველები არ არიანო! ისეა მრავალ შემთხვევაში ტიპი ქართველისა შენახული, რომ მიუხედავად მრავალის საუკუნისა, რაც ეს ქვაკუთხედი საქართველომ ლეკებს დაუთმო, იგი პირწმინდათ შენახულა და უმწიკვლო, წარუშლელი გამხდარა. დიახ, ასეა და თუ ამას დაუმატეთ ის გარემოება, რომ მრავალმა კავახჩოლელმა ლეკმა ქართული მშვენივრად იცის, თქვენ აშკარად მოსტყუვდებით და თქვენ წინ მდგომარე ლეკი, აუცილებლივ ქართველი გეგონებათ. ამ გარემოებას, ე. ი. ქართველი ტიპის შენახვას, ის უფრო უწყობს ხელს, რომ ქართველთა გალეკება დღესაც არ შეწყვეტილა, არა იშვიათად ნახავთ კავახჩელში მაინც, ჩასახლებულს ქართველს, რომელსაც მუსულმანობა მიუღია და გალეკებულა სულით ხორცამდის. დღესაც კიდევ ადგილი აქვს ასეთს გარემოებას. დღესაც ნახავთ კავახჩლეში ლეკებზედ გამოთხოვებულს ქართველ ქალებს.

მაგრამ თავი დავანებოთ ამას. ქართველთა კვალს უფრო სხვა უტყუარი საბუთები ღაღადებენ. ყოველს ხეობაში, ყოველს მინდორ-ტყეში ნახავთ ყოვლად დარჩენილს, გავერანებულს ეკლესიას. მიდიხართ მთა-ღრეში, და თქვენს თვალს ძალაუნებურად წინ ეღობება პატარა, მომცრო ან მოზრდილი, ჩვეულებრივის ქართულის ტიპის ეკლესია ან კოშკი. აქ ირგვლივ მუსულმანებში ობლად, ტიალად გამოიცქირება ძველი მოწამე ქართველთა წარსულისა. ვერც ერთს ხეობას, ვერც ერთს ტყე-მინდორს ვერ გაივლით ისე, ეს ნაშთენი არ დაგხვდნენ და გული არ აგიმდუღრონ. მორცხვად, ნაზად და თავახრილად გამოიცქირებიან ეს წმინდა ნაშთნი, რომელთაგანაც მრავალნი ჯერ კიდევ კარგად შენახულან, თაღი ხელუხლებელი და ხშირად გუმბათიც კი არ არის დარღვეული და წაშლილი. მათის სახელების ჩამოთვლით და დაწვრილებით აღწერით მკითხველს არ მოვაწყენ, რადგანაც ამას კერძო სპეციალურს წერილს ვუძღვნით. ჩვეულებრივი მკითხველისათვის მათი აღნუსხვა მოსაწყენის და არა სახალისო.

ახლა დახედეთ ბინებს და მათს სახელებს, რომელნიც, მთის ფერდობიდგან დაწყებული, ალაზნამდის ჩასდევენ. აი ბინა თეთრი საყდარია, ბერთა ბინა, დარბაზის საყდარია და სხვა და სხვა. მრავალი ასეთი სახელი უკლებლად შენახულია, არ შებღალულა დღესაც და ქართველთა წარსულს ცხოვრებას და მათს მაჯის ცემას მოგაგონებსთ.

აბა ახლა გადაჰხედეთ ბელაქნის ველ-მინდორს, ამ თვალუწვდენელს ზღვას, ჯერედ კიდევ ხელუხლებელს ტყეებს, საძოვრებს, რომელნიც მთის ფერდობებიდგან ალაზნის პირამდის გადაჭიმულან და რომლის ორი მეხუთედიც დღემდის ვერ მოუხმარნია და გამოუყენებია ბელაქნელს, უცქერით მის გაფუებულს, ნაყოფიერს ნიადაგს, სადაც ყოველივე ნათესი ზღვადა ხდება და ძალაუნებურად თქვენს თავს აძლევთ ასეთს საკითხს—რა უნდოდათ ლეკებს, რათ აწიოკებდნენ, აწუხებდნენ და მოსვენებას არ აძლევდნენ დღე-მუდამ საქართველოს. ამოდენა ადგილ-მამული საქართველოსი, რომლის სიმდიდრეც შორს არის განთქმული, ხელში ჩაუგდიათ და დაჰპატრონებიან, ნუ თუ ეს საკმარისი არ იყო, ნუ თუ ცოტათი მაინც ხელი რომ გაენძრიათ, თავს ვერ ირჩენდნენ და ვერ იცხოვრებდნენ?

დიახ, ძალაუნებურად, ეს საკითხი გებადებათ და მოსვენებას არ გაძლევსთ. რასაკვირველია, აქ მიწა-წყალი არაფერს შუაშია, თუ ეხლა არამც თუ ჰყოფნის ბელაქნის თავისი მიწა-წყალი, პირიქით მისი მოხმარებაც კი დღემდისაც ვერ მოუხერხებია, ძველს დროში ხომ სავსებით ეყოფოდა და მეტიც დარჩებოდა. საქმე სულ სხვაგან არის, ბელაქნელს ლეკს მუშაობა არ უყვარდა და არც დღეს უყვარს, საქართველოში თარეშობა და ნადავლის შოვნა კი იმ დროში ადვილი საქმე იყო და ამასთანავე სასახელოც. გარდა ამისა, ბელაქნელი ლეკი მეტად თავმომწონეა, ლაღია და მოუსვენარი. დღესაც კიდევ ხეირიანად ვერ შესჩვევია მუშაობას. ბელაქანში, რომ გინდოდეთ, სამუშაოთ კაცს ვერ იშოვნით, ყველას ბერონისავით მედიდურათ უჭირავს თავი და დიდათ საწყენათ მიიღებს, თუ სამუშაო რამე შესთავაზეთ. ამის გამოა, რომ იმ უმდიდრეს ბუნებაში და ნაყოფიერს მიწის ნიადაგში, სადაც ისინი სცხოვრობენ, იმდენი სურსათი ვერ მოუყვანიათ, რომ წლითი-წლობამდის ჰყოფნიდეთ და იძულებულნი არიან ან ყაბალში ქართველებისაგან იყიდონ, ან კიდევ რუსის სოფლებში. აბა გადმოასახლეთ მათ მიწა-წყალში ჩვენი იმერლები, თუ რამდენიმე წლის შემდეგ შეძლებულები არ გახდნენ და არ გამდიდრდნენ! მაგრამ ლეკს მხოლოდ ხილის ბაღები გაუშენებია და მხოლოდ ამითი უნდა ცხოვრება. ამ ხილსაც ეხლა გორის მაზრა თბილისის ბაზარზედ დიდს კონკურენციას უწევს.

ზ. ედილი.

შემოწირულება

მასწავლებელმა ლონგინოზ ნიკოლოზის ძე ზაუტაშვილმა ათი (10) მან. შესწირა საბავშვო ჟურნალის გამოსაწერათ ანაგისა და კარდანახის სკოლას.

რედაქტორ-გამომცემელი
ხანდრო შანშიაშვილი

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

თფილისიდან გადის

ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.03	დილ.
„	სამგზ.	№ 9,	10.33	საღ.
ბორჯომისკენ	სამგზ.	№ 19,	3,20	დღ.
„	„	№ 17,	8.27	დილ.
გორისაკენ	სამგზ.	№ 61,	9.10	დილ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	11.13	დილ.
„	სამგზ.	№ 8,	3.54	დღ.
„	საფ.	№ 4,	9.28	საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-3,	11.13	საღ.
თელავისაკენ		№ 4,	8 „ 58 „	დილ.

თფილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	9.52	დილ
„	საფ.	№ 4,	8.38	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.48	დილ.
„	სამგზ.	№ 18,	10.12	საღ.
გორიდან	სამგზ.	№ 62,	6.34	საღ.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.08	დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12	საღ
„	ჩქარ.	№ 5,	8.48	საღ.
თელავიდან		№ 3, .	6 „ 24 „	საღ.
ყარს-ჯულფ.	საფ.	№ 3***,	8.10	დილ.

1917 წ. მიიღებ ხელის მოწერა
დახურათებულ საყმაწვილო ჟურნალ
„ნაკადულ"-ზე
წელიწადი მეთორმეტე

ჟურნალი „ნაკადული" გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ

24 წიგნი „ნაკადული"-სა მცირე წლოვანთათვის. 12 წიგნი „ნაკადული"-სა მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი 3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ. მოზრდილთათვის 12 წიგნი—3 მან. გაგზავნით 3 მ. 50 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

დაწვრილებით ჟურნალში. რედაქტორი ნინო ნაკაშიძე
გამომცემელი თ-დ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.
(291—3)

მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისათვის:
სათეატრო-სალიტერატურო, სამხატვრო კვირეული ჟურნალი
თეატრი და ცხოვრება
(წელიწადი მეხუთე)

გამოვა სრული პროგრამით, უკვე ცნობილი რედაქციით
წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ ორ პრემიას

აკაკის „ნაკვესები და ბრძნული სიტყვები" ავტორის სურათით, ფაქსიმილეთი და ბიოგრაფიით.

ჟ. ლომთათიძის „რჩეული აზრები" ავტორის სურათით, ფაქსიმილეთი და ბიოგრაფიით.

ჟურნალი პარტიათა გარეშეა, პროგრესიული მიმართულებისაა.

ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი დამსახურებული და ახალგაზრდა ნიჭიერი მწერლები: მგოსნები, კრიტიკოსები, მუსიკოსები, მხატვრები.

ჟურნალის ფასი ორივე პრემიით წელიწადში ღირს 8 მან. ნახევარის წლით 4 მან. 50 კაპ. თითო ნომერი ყველგან 15 კაპ. ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს 3 მ., პირველ მაისამდე—3 მ. პირველ ენკენისთვემდე 2 მან.

ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, „სორაპნას" სტამბის კანტორაში (მადათოვის კუნძული, № 1, ვორონცოვის მეორე ხიდის ყურში). ქალაქ გარეთ ხელის მომწერთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის მიმართულებით: Тифлисъ, ред. „Театри да Цховреба" Іосифу Имедашвили.

რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა.

„სორაპნის" გამოცემა
დაიბეჭდა, გამოვიდა და იხყიდება ყველგან საქართველოში

კედლის კალენდარი
შედგ. მ. გაჩეჩილაძის დ გრ. სვ. ჩარკვიანისა
ფასი 70 კაპ.

სახალხო კალენდარი
შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ.
ფასი 80 კაპ.

1917

„პარტიით" მყიდველებს შეუძლიათ მიმართონ: Тифлисъ, Типографія „Сорапанъ" М. Гачечиладзе და ქუთაისში წიგნის მაღაზია თ. მთავრიშვილისა.

გაფრთხილება. ჩვენი კალენდრის მყიდველების საყურადღებოთ ვაცხადებთ, რომ კოოპერატიულ ამხანაგობა „განახლება"-ს გამოცემულ კალენდართან, ჩვენ გამოცემას არაფერი საერთო არც ჰქონია, არც აქვს და არც ექნება.
(12—252—12)

ვინც იტანჯება ათაშანგით
(სიფილისით)
ვურჩევთ იხმარონ ცნობილი საშუალება
პრეპარატი
„IODOSTARIN" (იოდოსტარინ)

მთელი კურსის ფასი 30 მ., ½ კურსის ფასი 16 მ., ¼ კურსის ფასი 8 მ. 50.

ქალაქს გარეშეებს ეგზავნებათ ხუთი მანეთის ბეის მიღების შემდეგ.

შეკვეთა და ცნობების მიღება შეიძლება მხოლოდ რ. ი. შმიდტან, თბილისი, თხინვალის ქ., № 12, გოლოვინის პროსპექტის და მამადავითის ქუჩის ახლო. Тифлисъ, Тхинвальская, № 12, отд. 1—2.

სპრინცოვკა პროფესორ ტარნოვსკისა
(შესაშხაპუნებელი)
და სუსპენზორიები, მივიღეთ

I და II ხარისხისა, დიდძალი პარტია, ვაჭრობა ბითუმად და წვრილად. ფასები შესაშხაპუნებლისა ბითუმად I ხარისხისა დუჟინი 9 მან. 50 კ., II ხარისხისა 7 მან. 50 კ. სუსპენზორიების ფასი: ბითუმად დუჟინი 7 მან. 50 კ.

მიმართეთ შეხაკვეთად: რ. ი. შმიდტს, თბილისი, თხინვალის ქუჩა, № 12. მისამართი: Тифлисъ, Тхинвальская ул. № 12, отд. 1—7, Р. И. ШМИДТЪ.

ქალაქის გარედ აფთიაქებს და ვაჭრებს ვუგზავნებათ 5 მანეთის ბეს მიღების შემდეგ.

თევზის მრეწველნი
ძმ. ძეზველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მეშოჩნი" ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის შამაიები მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან

სტამბა „ცხოვრება" კალანდაძისა, გაზეთის შესახვევი № 4.